პარლამენტი სახალხო დამცველს „არ ეშვება"

A2



ფიფამ მოედნები შეგვიმოწმა

A5

ეტაპობრივი რეფორმის გზით

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 17 თებერვალი, 2006 წელი. №350 (1187)

ფასი 50 თეთრი

**რედაქციის მისამართის შეცვლასთან დაკავშირებით გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 თებერვალს.**

**რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. N51, შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან.**

## ამბები

### საქართველო თურქული ინვესტიციების მოლოდინში

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში დიდი საინვესტიციო ბუმია მოსალოდნელი.
ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თბილისში ვიზიტით მყოფ თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტთან, სურეია სერდენგეთჩისთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

A2

## სამართალი

### მკვლელობის აღიარებამ გამოძიება დააბნია

რამდენიმე დღის წინათ სიღნაღის პოლიციაში, 2003 წელს ჩადენილი ალა სესიტაშვილის მკვლელობის აღიარებით, სოფელ საქობოს მკვიდრი მირიან მირიანაშვილი გამოცხადდა. არადა, ამ მკვლელობის გამო უკვე იხდის სასჯელს წნორელი ივანე დევიძე. მიუხედავად იმისა, რომ დევიძე სასამართლოს განაჩენის გამოტანის ბოლო წუთამდე ამბობდა, რომ სესიტაშვილი მას არ მოუკლავს, სიღნაღის რაიონის მოსამართლემ სოსო ბეგიაშვილმა ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 17/02 | 18 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 4 |
| ტყიბული | 6 | 4 |
| სოხუმი | 7 | 5 |
| გორი | 0 | 1 |
| ონი | -1 | -2 |
| ზუგდიდი | 3 | 2 |
| ახმეტა | 6 | 4 |
| სამტრედია | 7 | 3 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8125 |
| ევრო | 2.1578 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1431 |
| რუბლი | 0.0643 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# საქართველო იმსახურებს

ეკა კვესიტაძე

*მირა რიკარდელი, ამერიკის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, თბილისში მეექვსედ ჩამოვიდა. ამჯერად საქართველოს უსაფრთხოების ფორუმზე დასასწრებად. ეს ძალზე საინტერესო, ენერგიული და ძალიან კარგი იუმორის მქონე ქალბატონი წლების განმავლობაში ევრაზიის საკითხებში დონალდ რამსფელდის მთავარი მრჩეველი იყო. ენერგობლოკადასთან დაკავშირებით ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სწორი განცხადებები გააკეთა რუსეთთან მიმართებაში. სხვა შემთხვევაში, მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებები და გაზეთები ამ საკითხს დღის მთავარ თემად არ აქცევდნენ და მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას არ მიიპყრობდნენ. გთავაზობთ ინტერვიუს მირა რიკარდელთან.*

გაგრძელება A3 გვერდზე

იქარი ლურჯიანის ფოტო

# რუსეთი პოზიციას არ იცვლის

"სამშვიდობოები დარჩებიან"

დიმიტრი ავალიანი

*კონსტრუქციული ტონის მიუხედავად, საქართველოში რუსი სამშვიდობოების ბედის გასარკვევად ჩამოსული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის წევრების აზრი შეუცვლელი დარჩა – სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში უნდა დარჩნენ. უცვლელია მათი ქართველი კოლეგების პოზიციაც. თუმცა, ორივე მხარე ამ საკითხზე დიალოგის გაგრძელებას აპირებს. რუსეთის ოფიციოზი საქართველოს დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

ინტერპრესნიუსი

# მუსლიმთა პროტესტი გრძელდება

ოფიციალური ევროპა კი ბოდიშის მოხდას არ აპირებს

*ისლამურ სამყაროში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები დანიის პრესაში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. დემონსტრანტები ევროპის კავშირის ქვეყნებისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ. მაგრამ ევროკავშირის წევრთა თქმით, მსოფლიომ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ ქვეყნების მთავრობები არ აკონტროლებენ და არც მომავალში გააკონტროლებენ მასმედიას თავთავიანთ ქვეყნებში.*

პაკისტანში უკვე მეოთხე დღეა, გრძელდება საპროტესტო გამოსვლები და ძალადობა. ყარაჩში, ფეშავარსა და ლაჰორში დემონსტრანტებმა დაწვეს კინოთეატრები და დასავლური კომპანიების შენობები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველო "შედარებით თავისუფალი" ქვეყანაა

"Heritage Foundation"-ი 2006 წლის "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს" აქვეყნებს

*საქართველოში "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" გაუმჯობესდა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის "Heritage Foundation"-ის მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევა - "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" იძლევა, რომლის თანახმადაც, შარშანდელი მე-100 ადგილიდან წელს საქართველომ 68-ე ადგილზე გადაინაცვლა. საგულისხმოა, რომ საქართველოს ამ მაჩვენებლით მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანიც კი უსწრებენ.*

დიანა ჩაჩუა

"ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით" საქართველოს ეკონომიკა "შედარებით თავისუფალ" (Mostly free) კატეგორიას არის მიკუთვნებული. ამასთან, რაც არ უნდა უცნაური და პარადოქსული იყოს, ამ კვლევაში მოცემული ცხრილის მიხედვით, საქართველოზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ სომხეთს და აზერბაიჯანს.

"Heritage Foundation"-ის ძირითადი მიზანი ქვეყანაში იმ პოლიტიკის დაცვა და ხელშეწყობაა, რომელიც თავის საფუძვლად თავისუფალ მეწარმეობას, პიროვნების თავისუფლებასა და ძლიერ ეროვნულ თავდაცვას აღიარებს. ეს ორგანიზაცია, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტი, 1973 წელს ამერიკაში დაარსდა. მისი ძირითადი მიზანი იმ პოლიტიკის დაცვა და ხელშეწყობაა, რომელიც თავის საფუძვლად შემდეგს აღიარებს: თავისუფალ მეწარმეობას, მთავრობის ეკონომიკაში შეზღუდულ მონაწილეობას, პიროვნების თავისუფლებას, ძლიერ ეროვნულ თავდაცვას.

ამჟამად საქართველოში იმყოფება Heritage Foundation-ის საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის დირექტორი მარკ მაილსი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აჭარაში გამგებლები კანონდარღვევით ინიშნებიან

*ქედის რაიონის გამგებლად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ედუარდ სურმანიძის მეგობარი და თანაგუნდელი დათო გათენაძე დანიშნა. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის მოქმედი კანონის მიხედვით, რაიონის გამგებელს პრეზიდენტი ნიშნავს საკრებულოს შემადგენლობიდან. რადგან აჭარაში ასლან აბაშიძის დროს არჩეული საკრებულოები ფუნქციონირებენ და ისინი სრულად "აღორძინების კავშირის" წევრებით არიან დაკომპლექტებულები, საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს და გამგებლებს "ნაციონალური მოძრაობიდან" ნიშნავს. არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტის უკანონო გადაწყვეტილებებს აპროტესტებენ.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

ქედის რაიონში საქართველოს პრეზიდენტმა ახალი გამგებელი დათო გათენაძე დანიშნა. მანამდე იგი საქართველოს ელექტროკავშირში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. გათენაძე ედუარდ სურმანიძის მეგობარია და პოლიტიკური ბრძოლის გზაც ერთად აქვთ გავლილი. რაიონის ყოფილი გამგებელი ზურაბ ავალიანი გასული წლის ზაფხულში, საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა. გავრცელებული ინფორმაციით კი, რაც აჭარის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის ფრაქციის რამდენიმე წევრმა ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე დაადასტურა კიდეც, ავალიანს ჯემალ გოგიტიძესთან აბაშიძის მმართველობის პერიოდში მეგობრული ურთიერთობა წაუყენეს კომპრომატად, რის გამოც ლევან ვარშალომიძემ განცხადების დაწერა მოსთხოვა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით, რაიონის გამგებელს საქართველოს პრეზიდენტი რაიონის საკრებულოს შემადგენლობიდან ნიშნავს. აჭარის რევოლუციის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტმა თავისი პირდაპირი მმართველობა გამოაცხადა და დაინიშნა დროებითი საბჭო, დაინიშვა რაიონის გამგებლებად საკრებულოს არაწევრების დანიშვნის პრეცედენტი. პრეზიდენტის პირდაპირი მმართველობა აჭარის უმაღლესი საბჭოს შეკრების დღესვე შეწყდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სკანდალური პოლიციელი სპეცოპერაციას ემსხვერპლა

გუშინ საღამოს თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციისას შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პოლიციის პოლკოვნიკი გიორგი თელია მოკლეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებს ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ გია თელია ნარკოტიკების რეალიზაციას ეწეოდა, რის გამოც, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი გია თელიას დაკავებაზე რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდა.

შსს-ს ინფორმაციით, სპეცოპერაციისას გია თელიამ სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. მის მკვლელობასთან დაკავშირებით სოდ-ის თანამშრომლები აცხადებენ, რომ თელაიმ სპეცოპერაციის დროს მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ძალოვანებმა მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, მოკლულის სახლიდან ამოღებულია სამი ხელყუმბარა, სხვადასხვა სისტემის რამდენიმე იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები.

გია თელია თავის დროზე ცნობილი "ჩეკისტი" გახლდათ, რომლის სახელთანაც არა ერთი სკანდალი დაკავშირდა. ის პოლიციაში წლების მანძილზე მუშაობდა და პოლიციიდან 1994 წელს დაითხოვეს – 1994 წლის 10 მარტს "იმელის" შენობაში მომხდარი გახმაურებული შეჭრის შემდეგ. საუბარია, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსის, დავით ზეიკიძისა და მისი რაზმის "იმელში" შეჭრაზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პარლამენტი სახალხო დამცველს „არ ეშვება“

გიორგი ასანიშვილი

პირველი გვერდიდან

პარლამენტი გუშინ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა სახალხო დამცველის 2005 წლის ანგარიშს. როგორც ცნობილია, გასული წლის დეკემბერში ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სოზარ სუბარის გამოსვლამ უმრავლესობის წევრების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინ მათ ხმამაღლა გამოხატეს პროტესტი ომბუდსმენის განცხადებაზე, რომ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება სხვა კონფესიებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. ვინაიდან სახალხო დამცველსა და სახელისუფლებო ფრაქციის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, დადგენილების მიღება სამომავლოდ გადაიდო.

მოგვიანებით გამართულ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე სოზარ სუბარმა კვლავ დაადასტურა, რომ მისი პოზიცია უცვლელია. ვინაიდან უკან არც უმრავლესობამ დაიხია, ეს წინააღმდეგობა იმ დადგენილების პროექტშიც აისახა, რომელზეც დეპუტატებმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე იმსჯელეს.

**“საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პრინციპები ხელშეუხებელია და გადახედვას არ ექვემდებარება. პარლამენტი არ იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის “მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების მხარს არ დავუჭერ,”** - დაიმუქრა უმრავლესობის წარმომადგენელმა ლევან ლუტიძემ. ხანგრძლივ კამათს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა დაუსვა წერტილი, რომელმაც კოლეგებს აუწყა: ვინაიდან ალტერნატიული პროექტი არ არსებობს, დადგენილებაში ცვლილებების შეტანას კი მისი ავტორები არ ეთანხმებიან, ამდენად, დავა და პრეტენზიების გამოთქმა სავსებით უადგილოა.

პარლამენტში გუშინ განხილულ დოკუმენტს, სავარაუდოდ, პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ეყრება კენჭი.

# საქართველო "შედარებით თავისუფალი" ქვეყანაა

პირველი გვერდიდან

ეს უკანასკნელი ადგილზე გაეცნობა ვითარებას და არა მხოლოდ სტატისტიკურ, არამედ უშუალოდ საქართველოს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისგან მიღებულ ინფორმაციებს დაეყრდნობა. მარკ მაილსი საქართველოში ორგანიზაცია "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" მიერ იქნა მოწვეული. ვიზიტის მიზანი ეკონომიკური თავისუფლების იდეების ქართული საზოგადოებისთვის გაცნობა და ინდექსის პრეზენტაცია-განხილვაა. წორედ ამ მიზნით, გუშინ მარკ მაილსი ბიზნესმენთა ფედერაციაში საქართველოს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს და ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრაზე დისკუსია საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის, ქვეყანაში მიმდინარე ფისკალური ხასიათის რეფორმების, ახალი საგადასახადო ტარიფების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მთავრობის მონაწილეობის, მიმდინარე მონეტარული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და სხვა საკითხებზე გაიმართა.

ჩვეულებრივ, ქვეყნების, მათ შორის – საქართველოს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გამოყვანა შემდეგი მოვლენების გათვალისწინებით ხდება: მთავრობის ინტერვენცია ეკონომიკაში, მონეტარული პოლიტიკა, საბანკო სექტორი, მთავრობის ფისკალური სიმძიმე, უცხოური ინვესტიციები, ხელფასები და ფასები, სავაჭრო პოლიტიკა, ქონებრივი უფლებები, რეგულაცია და შავი ბაზარი. 2005 წელთან შედარებით, ჩამოთვლილ ფაქტორთაგან გაუმჯობესებულია მთავრობის ფისკალური ტვირთის, მონეტარული პოლიტიკის, უცხოური ინვესტიციების და საბანკო სექტორის კატეგორიები. რაც შეეხება დანარჩენ ფაქტორებს, Heritage Foundation-ის მოხსენების სპეციალურად საქართველოსთვის მიძღვნილ ნაწილში ხაზგასმით ნათქვამია, რომ განსაკუთრებით გაუარესებულია მდგომარეობა შემდეგ სამ კომპონენტში: ქონებრივი უფლებები, ანუ სასამართლოს დამოუკიდებლობის დონე, რეგულაცია, ანუ ბიზნესისთვის კანონების და ბიუროკრატიის სიმძიმე და შავი ბაზარი.

საინტერესოა, რომ 2005 წლის მონაცემებით, საქართველო 3,29 საშუალო ქულას ფლობდა, წლევანდელი მონაცემებით კი, მან "შედარებით თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა და ამჯერად 2,98 საშუალო ქულას ფლობს. ცნობისათვის, ინდექსი ყოველთვის 1-დან 5-მდე მერყეობს. შესაბამისად, 1 - უმაღლესი, ხუთი კი ყველაზე დაბალი შეფასებაა.

Heritage Foundation-ის მოხსენება სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მოკლეულ ინფორმაციას, მათ შორის, სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის სპეციალურ ანგარიშს ეყრდნობა. ფონდის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამერიკული ავტორიტეტული ინსტიტუტის წარმომადგენელი მარკ მაილსი აცხადებს, რომ უცხოელი ინვესტორების აზრით, საქართველოში არაეფექტური და კორუმპირებული სასამართლო სისტემაა.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მოხსენებაში ერთადერთი კატეგორია, რომელსაც "თავისუფალი" ტიტული აქვს მინიჭებული, მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დონეა.

# საქართველო თურქული ინვესტიციების მოლოდინში

ნინო ნატროშვილი

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში დიდი საინვესტიციო ბუმია მოსალოდნელი. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თბილისში ვიზიტით მყოფ თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტთან, სურეია სერდენგეთჩისთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

თურქულ ბაზარზე საქართველოდან კაპიტალდაბანდებების მოცულობაც გაიზრდება.

სურეია სერდენგეთჩის თქმით, 1997 წლიდან საქართველოში 175 მლნ დოლარის თურქული ინვესტიცია განხორციელდა. "საქართველოს საბანკო სექტორი სტაბილურია, რაც ჩვენი კაპიტალის დაბანდების გარანტიაა. თურქეთს საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები დიდი ხანია სურდა, თუმცა ამას ხელს თურქეთში არსებული ეკონომიკური კრიზისი უშლიდა, რაც ქვეყნის საბანკო სექტორში განხორციელებული რეფორმით დაიძლია," - განაცხადა თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა. მისი თქმით, საქართველოში მოქმედებს თურქული "ზირაათ ბანკი" და არსებობს იმედი, რომ საბანკო სექტორში თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თურქეთი საქართველოს მეორე უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. საქართველოსთან მიმართებაში, საგარეო სავაჭრო ბრუნვაში თურქეთს მხოლოდ რუსეთი უსწრებს. მისი წილი საგარეო ვაჭრობის 3.358 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის მთლიან სტრუქტურაში 12,1 პროცენტს შეადგენს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, 2005 წლის განმავლობაში, საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ, 404.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ექსპორტის ოდენობამ - 122 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტისამ - 283 მლნ აშშ დოლარი.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 97 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში ექსპორტის მოცულობა 91 პროცენტით, ხოლო იმპორტი 125 პროცენტით გაიზარდა.

1997 წლიდან 2006 წლის 1 იანვრამდე თურქეთიდან საქართველოში დაახლოებით 175 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა. საქმიანი თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს ენერგოსექტორში, სოფლის მეურნეობაში, საბანკო და სატელეკომუნიკაციო სფეროებში.

თბილისში მოქმედებს თურქეთის რესპუბლიკის სს "ზირაათ ბანკის" თბილისის ფილიალი. მისი მთლიანი აქტივები 2006 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 15,5 მილიონი ლარია. რაც შეეხება ვალდებულებებს, იგი 7,5 მილიონი ლარია.

ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე მოქმედებს კომპანია "ჯეოსელი", რომელმაც უკვე 77 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია დააბანდა. ამავე კომპანიას დაგეგმილი აქვს კაპიტალდაბანდების 130 მლნ აშშ დოლარამდე გაზრდა. თბილისის აეროპორტის მშენებლობა-რეკონსტრუქციას ახორციელებს კომპანიები "ტავი" და "ურბანი", რომელიც 60 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტირებას მოახდენს.

საქართველოში მოქმედი სხვა მსხვილი თურქული ფირმებია: მინის მწარმოებელი კომპანია "შიშე ჯამი", "ჯეო-ნიტრო", "ქოქაზუს გლას-ალუმინიუმ", ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელი შპს "გულისთანი", შპს "ჯი-ემ-პი", შპს "დოღანი", ავიაკომპანია "თურქეთის ავიახაზები".

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი მოინახულებს თურქული კომერციული ბანკის "ზირაათბანკის" თბილისის ოფისს, შემდეგ ქართველ კოლეგასთან ერთად საქართველოში მოქმედი თურქული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდება. თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი შეხვედრებს საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაშიც გამართავს.

# აჭარაში გამგებლები კანონდარღვევით ინიშნებიან

პირველი გვერდიდან

რამდენიმე დღის წინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ედუარდ ფუტკარაძემ ქობულეთის რაიონში გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი წარადგინა. მაშინ ფუტკარაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: **“კანონით, როცა გამგებელი თანამდებობას ტოვებს, მის ნაცვლად პრეზიდენტი ახალ გამგებელს საკრებულოს შემადგენლობიდან ნიშნავს. რადგან აქ აბაშიძის დროინდელი საკრებულოები გვაქვს შენარჩუნებული, ამიტომ გამგებლის მოვალეობას პირველი მოადგილე შეასრულებს.”** ამას აჭარის მინისტრთა საბჭოს იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარე სულიკო შვენთიძეც ადასტურებს: **“თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ახლად მიღებული კანონის მიხედვითაც კი, გამგებელს ირჩევს რაიონის საკრებულო, ან თავისი შემადგენლობიდან, ან - სხვა პირს. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის კანცელარიაში გვირჩიეს, რომ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოს არის, არჩევნებამდე გამგებლის მოვალეობა მის მოადგილეს შეესრულებინა. ასე იქნება ქობულეთსა და ქედაში.”**

დათო გათენაძე გამგებლის პოსტზე ქედის გამგეობას კვლავ ედუარდ ფუტკარაძემ წარუდგინა. იგი არც მოადგილე იყო და არც საკრებულოს წევრი. ამჯერად ედუარდ ფუტკარაძე ასეთ კომენტარს აკეთებს: **“ქედის გამგებელი პრეზიდენტმა დანიშნა. მე ამ შემთხვევაში ვარ უბრალო შემსრულებელი. რასაც მეტყვიან, იმას ვაკეთებ. რამდენად კანონიერია პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ეს მე არ მეხება.”**

გამგებლის დანიშვნის უკანონობაზე საუბრობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. “ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ცენტრის” ხელმძღვანელი პაატა ჯალაღანია აცხადებს, რომ **“საკრებულოს არაწევრის რაიონის გამგებლად დანიშვნა უკანონოა. ხელისუფლებას არც იმის უფლება აქვს, რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი 3 თვეზე მეტ ხანს დატოვოს. ქედაში კი მოვალეობის შემსრულებელი 6 თვეზე მეტ ხანს მუშაობდა. როგორც ცნობილია, ახალი არჩევნები წლის ბოლოსათვის არის დაგეგმილი. ამიტომაც პრეზიდენტი ვალდებულია, რაიონის გამგებელი დანიშნოს, ოღონდ საკრებულოს შემადგენლობიდან”**.

არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალი საზოგადოების ინსტიტუტის” ხელმძღვანელი კობა ჩხეიძე კი საკანონმდებლო ნონსენსზე საუბრობს: **“ჩვენი გამოკვლევით, ასლან აბაშიძის მიერ მიღებული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ისევ ძალაშია. ეს კანონი მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში დღეს მოქმედი ანალოგიური კანონისგან. 2002 წელს აჭარაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა მოხდა პროპორციული წესით. ამ კანონით ქალაქის მერსა და რაიონის გამგებლებს ირჩევენ საკრებულოები. აჭარის უმაღლესმა საბჭომ ეს კანონი გააუქმა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ეს გადაწყვეტილება პრესაში არ გამოაქვეყნა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ამოქმედებულა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ წესით არჩეული საკრებულოები დღესაც აგრძელებენ მუშაობას. თუ კი საქართველოს კანონია ამ შემთხვევაში უპირატესი, ის კანონიც დარღვეულია. ასე რომ, დღეს აჭარის ყველა რაიონის გამგებლები კანონის დარღვევით არიან დანიშნულები.”**

# განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა “საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ” 2006 წლის 24 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის “ბ” კორპუსის (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის სარტანსპორტო საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებით:

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი “ბე-ს” მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და “ბე”-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა “მონაწილის ბილეთი”.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. **ავტომობილები იყიდება არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაში. აუქციონის შემდეგ, გაყიდული ლოტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება.** დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.**

| ლოტის N | ობიექტის დასახელება | სახ. ნომერი | ფერი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მონაცემები | გამოშვების წელი | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | გარბენი | საბაზრო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა გაზ - 31029 | VIP 669 | რუხი | შასი N 422098, ძარა N 0407167, ძრავი N 4021-032951, ტექნიკური პასპორტი AE N 0031390 | 1996 | 1998 | 269496კმ | 2500 ლარი |
| 2 | ა/მანქანა გაზ - 31029 | VIV -780 | რუხი | შასი N 422421, ძარა N XTH 31090T0407495, ძრავი N 402103349996-2448, ტექნიკური პასპორტი AE N 0031386 | 1996 | 1998 | 276580 კმ | 2000 ლარი |
| 3 | ა/მანქანა გაზ - 3110 | AKA 696 | თეთრი | შასი N 801058, ძარა N 0219976, ძრავი N 40200UX3318850, ტექნიკური პასპორტი AA N 0030848 | 1999 | 1999 | 173096 კმ | 2200 ლარი |
| 4 | ა/მანქანა გაზ - 3110 | AKA 309 | თეთრი | შასი N 0727544, ძარა N 0152469, ძრავი N 3369539, ტექნიკური პასპორტი AA N 0031097 | 1998 | 1999 | 125994 კმ | 1200 ლარი |
| 5 | ა/მანქანა გაზ - 3110 | AKA -699 | თეთრი | შასი N 0763228, ძარა N 0185156, ძრავი N 3387414, ტექნიკური პასპორტი AE N 0031625 | 1999 | 1999 | 175178 კმ | 1700 ლარი |
| 6 | ა/მანქანა გაზ - 3110 | AKA 690 | შავი | შასი N 759493, ძარა N 0181692, ძრავი N 3385545, ტექნიკური პასპორტი AE N 0031624 | 1998 | 1999 | 160878 კმ | 2200 ლარი |
| 7 | ა/მანქანა გაზ - 3110 | UUU - 382 | შავი | შასი N 0643209, ძარა N 007584, ძრავი N 3301772, ტექნიკური პასპორტი BB N 0017360 | 1998 | 1999 | 81799 კმ | 1500 ლარი |
| 8 | ა/მანქანა გაზ - 3110 | AKA - 329 | თეთრი | შასი N 761022, ძარა N W0182711, ძრავი N40200W3386182, ტექნიკური პასპორტი AE N 0031890 | 1998 | 1999 | 234035 კმ | 2000 ლარი |
| 9 | ა/მანქანა ვაზ -21099 | VIV - 689 | ღია რუხი | საიდენტიფიკაციო კოდი XTA -210990 W2318420, ძრავი N2108332396524, ტექნიკური პასპორტი AE N 0040791 | 1998 | 1998 | 264710 კმ | 600 ლარი |
| 10 | ა/მანქანა ვაზ -21213 | MNM - 217 | თეთრი | საიდენტიფიკაციო კოდი XTA212130X1425121, ტექნიკური პასპორტი AA N 0035579, | 1999 | 1999 | 196090 კმ | 1300 ლარი |
| | | | | სულ: | | | | 17200 ლარი |

## მოკლედ

### გიორგი ხაინდრავა მოსკოვში გაემგზავრა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გიორგი ხაინდრავა გუშინ მოსკოვში გაემგზავრა. როგორც გაირკვა, ვიზიტი სამდღიანია და 18 თებერვალს დასრულდება. სახელმწიფო მინისტრი რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება. მოლაპარაკებების მთავარი თემა საქართველოს პარლამენტის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე 15 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილება იქნება. ცნობისთვის, გიორგი ხაინდრავა 19 თებერვალს ვენაში მიემგზავრება, სადაც იგი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შრეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პარლამენტში სამთავრობო საათი აღარ გაიმართება

სამთავრობო საათი პარლამენტში აღარ გაიმართა. ამის მიზეზი მინისტრების მოუცლელობა გახდა. სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები ნიკა გილაური და ირაკლი ჩოგოვაძე სამთავრობო საათზე გუშინ ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ინიციატივით უნდა მოსულიყვნენ. როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხურთოშილმა განაცხადა, ენერგეტიკის მინისტრი აფხაზეთში იმყოფება. დაკავებულია ასევე კახა ბენდუქიძეც. საპარლამენტო მდივანმა პირობა დადო, რომ მინისტრები ორი კვირის შემდეგ პლენარულ სხდომაზე სამთავრობო საათზე აუცილებლად მოვლენ. როგორც ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ხელმძღვანელმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, კვლავ ძალაში დარჩება ის შეკითხვები, რომელიც მინისტრების მიმართ ფრაქციას გააჩნია, კერძოდ, გაზსადენის პრივატიზების თემა და ირანიდან ბუნებრივი აირის შემოსვლის საკითხი. არ არის გამორიცხული, ფრაქციამ კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, რაც მისი მხრიდან გაზსადენის პრივატიზაციაზე გამოთქმული მოსაზრებებითაა განპირობებული. ასევე, შესაძლებელია დააყენონ ეკონომიკის მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის პასუხისმგებლობა. ზურაბიშვლის თქმით, ფრაქციას ეჭვი ეპარება ეკონომიკის მინისტრის პროფესიონალიზმში, რაც ფრაქციის ხელმძღვანელის აზრით, კიდევ ერთხელ დაადასტურა მისმა განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ ირანიდან შემოსული ბუნებრივი აირის ფასი კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა. ფრაქცია არ აპირებს დასვას გილაურის პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან დეპუტატები მიიჩნევენ, რომ იგი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზეთის პარლამენტმა სამხრეთ ოსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა

თვითაღიარებული აფხაზეთის პარლამენტმა "აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების" რატიფიცირება მოახდინა. აღნიშნულ დოკუმენტს სეპარატისტული რესპუბლიკების პრეზიდენტებმა გასული წლის 19 სექტემბერს ცხინვალში მოაწერეს ხელი. ეს შეთანხმება ორივე მხარის ინტერესებში შედის, - განაცხადა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგი შამბამ, როდესაც დოკუმენტი პარლამენტს წარუდგინა. შეთანხმების თანახმად, სეპარატისტული რესპუბლიკები ერთმანეთს სამხედრო დახმარებას სთავაზობენ. "ორივე მხარის ტერიტორიაზე მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ საფრთხის აღმოცენების შემთხვევაში, მხარეები დაუყოვნებლივ იწყებენ ერთმანეთთან კონსულტაციებსა და მოქმედებათა კოორდინირებას, საფრთხის თავიდან აცილების, ასევე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით," - ნათქვამია შეთანხმების მეცხრე მუხლში.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ვალდებულებას იღებენ, "არ დაუშვან იმ ძალთა მოქმედება საკუთარ ტერიტორიაზე, რომლებიც მიზნად ისახავს მეორე მხარის სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ინტერესების შელახვას," - აღნიშნულია დოკუმენტში. შეთანხმება ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პარტნიორობას, ერთობლივი ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად თანამშრომლობას ითვალისწინებს. მხარეები ერთამანეთს სტიქიური უბედურებებისა და საგანგებო სიტუაციების დროსაც დაეხმარებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძირიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# საქართველო იმსახურებს

პირველი გვერდიდან

**- თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი საფრთხეები, რომელიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის?**

- ძალიან რთული კითხვაა. საქართველოს ბევრი საფრთხეები აქვს, მაგრამ მან უკვე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია უსაფრთხოების სფეროში. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყო, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით. ამას მოჰყვა ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ენერგიული ნაბიჯები, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში რეფორმების გატარებისკენ არის მიმართული. საბჭოთა სტილის ჯარის გარდაქმნა თანამედროვე ჯარად ძალიან რთული ამოცანაა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს არა მარტო აღჭურვის მთლიანად შეცვლას და ამ აღჭურვილობის გამოყენების სწავლას გულისხმობს, არამედ ახალი ქცევის წესების ათვისებასაც.

თავდაპირველად არავის ეგონა, რომ თავდაცვის სფეროს რეფორმირება შესაძლებელი იქნებოდა, რადგან იქ უზარმაზარი კორუფცია სუფევდა, ისევე როგორც სხვა სფეროებში. მაგრამ რევოლუციის შემდეგ ეს ამოცანა წარმატებით სრულდება. ახლა მთავარია, რომ ჯარისკაცებმა პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ. ამგვარი გამოცდილებისთვის კი ერაყში მიღებული ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია. ისევე, როგორც ამერიკისა და ნატო-ს ძალებთან თანამშრომლობის და ურთიერთთავსებადობის შედეგად მიღებული გამოცდილება.

გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა ჯარმა იმგვარ ცოდნაში გაიაროს სპეციალიზაცია, რომელიც სასარგებლო იქნება ნატოსთვის. ქართულმა ჯარმა თავისი ნიშა უნდა მოძებნოს. რადგან ნატო-ში ყველა ქვეყანას თავისი დანიშნულება აქვს და თავიანთ სფეროში სპეციალიზირებულები არიან. სხვაგვარად შეუძლებელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ყველაზე ძლიერი საჰაერო ძალები. ბუნებრივია, საქართველოს იგივეს არავინ მოსთხოვს, მან სხვა ნიშა უნდა მოძებნოს. ჩეხეთმა, მაგალითად, ლიდერობა აიღო ქიმიური, ატომური და ბიოლოგიური იარაღისაგან თავდაცვის სფეროში. ეს ძალზე საჭირო ცოდნაა დღევანდელ მსოფლიოში.

ასე რომ, მე მგონია, საქართველომ თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ხელშესახები პროგრესია ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართულებითაც, რაშიც თავისი წვლილი მრჩეველთა საერთაშორისო საბჭომაც შეასრულა, რომლის ხელმძღვანელი სერ გარი ჯონსონია.

ეკრან ლიტვინენკო/ფოტო

**- საქართველოს ხელისუფლება რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანაზე იწყებს მუშაობას. მაგრამ ამ პროცესის წარმატებით დასრულება საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე თითქმის შეუძლებელია. როგორ გგონიათ, აღმოუჩენს თუ არა დახმარებას საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს?**

- ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც სხვა მეგობარ ქვეყნებში, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ მიმართულებით ვითარება ჩიხშია შესული. მე ვფიქრობ, რომ ახალი მიდგომებია შესამუშავებელი, რადგან ის, რაც არის, არ მუშაობს. მე ძალიან დიდი სიმპათიით ვუყურებს საქართველოს ხელისუფლების აქტიურობას, რათა სამშვიდობო პროცესი უფრო დააჩქაროს. ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რუსეთთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყოს.

შესაძლოა, ამას ჯერ რუსეთი ვერ აცნობიერებს, მაგრამ ამ პრობლემის მოაგვარება მის ინტერესებშიც შედის. ჩემი აზრით, საქართველოსა და რუსეთს შორის გაცილებით უკეთესი ურთიერთობა იქნებოდა, ეს პრობლემა მოგვარებული რომ იყოს და ასეთი ტიპის გამაღიზიანებელი ფაქტორები არ არსებობდეს.

რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, მე ვფიქრობ, რომ საჭიროა საქართველოს ხელისუფლების ახალი მიდგომების განხილვა და მხარდაჭერის აღმოჩენა.

**- ამ ეტაპზე რამდენად არის მზად ნიადაგი იმისათვის, რომ ეს მხარდაჭერა მივიღოთ?**

- ეს ჯერ-ჯერობით ზუსტად არ ვიცი.

**- რა ტიპის პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობაში, რომ ქვეყნის ინტერესებიც დაიცვას და სერიოზული კონფრონტაციაც არ დაუშვას.**

- ურთიერთობებს ორივე მხარე ქმნის და ამიტომ ერთ მხარეს არ შეუძლია, დამოუკიდებლად გამოასწოროს სიტუაცია. მაგრამ, საქართველოს მთავრობას დღეს ძალიან სჭირდება მოთმინება რუსეთთან ურთიერთობაში. ძალიან ძნელია, მაგრამ საჭიროა იმის განჭვრეტა, თუ რა შესაძლო სცენარები შეიძლება ამოქმედდეს და ამ სცენარებისათვის მზადყოფნაა აუცილებელი. პროვოკაციებზე სწრაფი და დაუფიქრებელი რეაგირებით შესაძლოა, სიტუაციის ესკალაცია მოხდეს. ეს კი ნამდვილად არ შედის არავის, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებში.

გარდა ამისა, რუსეთთან მოლაპარაკებების დროს საჭიროა, რომ ქართულმა მხარემ მუდმივად გააკეთოს აქცენტი ისეთ საკითხებზე, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ინტერესებში შედის და ამ საკითხების მოგვარება ორმხივ სარგებლობას მოიტანს.

**- მაგრამ, რუსეთთან მოლაპარაკებები ჯერჯერობით შეუძლებელია. რა შეიძლება გააკეთოს საერთაშორისო საზოგადოებამ, როცა საქმე საქართველოს კანონიერი ინტერესების დაცვას ეხება?**

- საერთაშორისო საზოგადოებას საჯარო განცხადებების გაკეთება შეუძლია. მან რუსეთს უნდა შესთავაზოს საკითხების ალტერნატიული გადაწყვეტა და დაარწმუნოს, რომ ასეთი გადაწყვეტა და მიდგომა გრძელ პერსპექტივაში მის ინტერესებში შედის.

მაგალითად იმის მოყვანაც შეიძლება, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა თავდაპირველად რუსეთი გერმანიის გაერთიანებას. თუმცა, ბოლოს მაინც დარწმუნდა, რომ გაერთიანებული გერმანია მის ინტერესებშიც შედიოდა. დღეს რუსეთს ძალიან კარგი ურთიერთობები აკავშირებს გერმანიასთან. იმდენად კარგი, რომ უკვე ყოფილმა კანცლერმაც კი რუსულ კომპანიაში დაიწყო მუშაობა.

გარდა ამისა, ამერიკის ხელისუფლებას შეუძლია, რომ საქართველოს საკითხით უფრო მეტად დააინტერესოს და პროცესებში უშუალოდ ჩართოს ნატო-ს წევრი გავლენიანი ქვეყნები. მაგალითად - გერმანია. ახლანდელ კანცლერს ანგელა მერკელს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ვაშინგტონთან და ძალიან აქტიურად არის ჩაბმული საერთაშორისო პოლიტიკაში.

**- როგორ გგონიათ, რამდენად ახლოს დგას საქართველო ნატო-სთან, როგორც პრეზიდენტმა თქვა, ის უკვე ერთი ხელის გაწვდენაზეა.**

- თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ ნატო-ს კარზე დაკაკუნება. საქმე ის არის, როდის გაიღება ის. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკა ამ საქმეში აქტიურად ეხმარება საქართველოს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა არა მარტო ამერიკა, არამედ ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნები დაარწმუნოს იმაში, რომ საქართველო დიდ წარმატებებს აღწევს რეფორმების გზაზე და რაც მთავარია, მას საკუთარი წვლილი შეუძლია შეიტანოს ნატო-ს განვითარებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ მხოლოდ მომხმარებლად დარჩი და საკუთარი კონტრიბუცია არ შეიტანე, საკუთარი ნიშა ვერ განსაზღვრე ამ ორგანიზაციაში, მაშინ ძნელია იმ მოტივაციის პოვნა, თუ რატომ უნდა მიიღოს ნატო-მ საქართველო თავის წევრ ქვეყანად.

**- ამგვარი კონტრიბუციის შეტანა საქართველოს შეუძლია?**

- რა თქმა უნდა. საქართველომ კარგად მოახდინა ამის დემონსტრირება ერაყის სტაბილიზაციისა და რეკონსტრუქციის საქმეში გაწეული დახმარებით.

**- რა შეიძლება იყოს ის მთავარი დაბრკოლება, რომელსაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება შეუძლია შეაფერხოს.**

- ეს, პირველ რიგში, მოწესრიგებაა კონფლიქტებისა. იგივე პრობლემა იყო ბალკანეთის შემთხვევაში. ერთადერთი, სლოვენიას არ გასჩენია პრობლემები, რადგან მან არა მარტო დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მოახერხა ისიც, რომ ბალკანეთში მიმდინარე კონფლიქტებში ჩათრეული არ აღმოჩენილიყო.

**- როგორ ფიქრობთ, ამ ზაფხულისთვის შეძლებს თუ არა საქართველო ნატო-ს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებას?**

- საშინლად არ მიყვარს პროგნოზების გაკეთება, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველო იმსახურებს, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მიიღოს.

მაგრამ, ამისათვის აუცილებელია, ძალზე ენერგიული დიპლომატიური ნაბიჯების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით.

უცხოეთი

# რუსეთი ვოზიციას არ იცვლის

პირველი გვერდიდან

საქართველოს პარლამენტის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე მიღებულ დადგენილებაზე საუბრისას, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხაილ ბაბიჩი აცხადებს, რომ **"ეს არის პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც ემოციურ მოქმედებებს არ გულისხმობს... ეს პოლიტიკური განცხადებაა. ჩვენ შევისწავლით მას და ჩვენს მთავრობას შესაბამის რეკომენდაციას მივცემთ"**. მისი თქმით, **"მოსკოვში წარმოვადგენთ ქართული მხარის არგუმენტებს, და აუცილებლად განვიხილავთ, რა შეიძლება შეიცვალოს."**

გოსდუმის დელეგაციის წევრებმა და მათმა ქართველმა კოლეგებმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა, "რიანოვოსტის" თბილისის წარმომადგენლობაში ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. გვერდი-გვერდ მჯდომმა რუსმა და ქართველმა დეპუტატებმა ძირითად საკითხებზე აზრთა აბსოლუტური სხვადასხვაობა დააფიქსირეს.

რუსული მხარე იმთავითვე აცხადებს, რომ, საქართველოს სურვილის მიუხედავად, სამშვიდობო ძალები რეგიონში დარჩებიან. მათი აზრით, ეს ძალები თავიანთ ფუნქციებს ბოლომდე ასრულებენ, მაგრამ მათ საქმიანობაში გარკვეული "ტექნიკური პრობლემებია", რომლებიც არსებული შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს.

რუსი დეპუტატები არ აღიარებენ ასევე დადგენილებაში მოხსენიებულ ცნებას "ანექსია", ხოლო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებას "სრულიად კანონიერს" უწოდებენ.

მათ სინანულით აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაძაბული და ემოციური ფონი არსებობს, რასაც ქართული მხარეც ეთანხმება, თუმცა დაძაბულობის ესკალაციას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს აბრალებს. **"სამწუხაროდ, გოსდუმა სულ უფრო მეტად ემსგავსება ცირკს. კლოუნების რაოდენობა იზრდება და ემოციურ ფონს ეს ამძაფრებს,** - განაცხადა გივი თარგამაძემ, - **არ თქვათ ახლა, რომ ჟირინოვსკი კლოუნია. მას დიდი გავლენა აქვს რუსულ პოლიტიკაში."** თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მიხაილ ბაბიჩი ჟირინოვსკის არა კლოუნად, არამედ დუმის ვიცე-სპიკერად იცნობს და, შესაბამისად, ქართველ კოლეგებს მან კორექტულობისკენ მოუწოდა.

გივი თარგამაძის თქმით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ვიზიტის ერთადერთი შედეგი ის გახდა, რომ **"ელემენტარული საუბრის დერეფანი გაიხსნა."** მისი თქმით, სამშვიდობო ძალების საკითხის განსახილველად მოსკოვში ქართული საპარლამენტო დელეგაციის საპასუხო ვიზიტი იგეგმება.

გივი თარგამაძე აცხადებს, რომ სამშვიდობო ძალების რეგიონში დარჩენა, რასაც რუსული მხარე უაპელაციოდ აცხადებს, **"უპირობო სულაც არ არის"**. მისი თქმით, უნდა დაიწყოს მოლაპარაკება სოჭის შეთანხმების გადასახედად. მან დაადასტურა, რომ ქართულ მხარეს არანაირი საომარი ზრახვები არ აქვს.

კოტე გაბაშვილის თქმით, პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ რუსი დეპუტატები ვითარებაში გასარკვევად ჩამოვიდნენ, რადგან აქამდე, მისი აზრით, ქართული მხარის ყველა პრეტენზიას რუსეთი "ცინიკური დუმილით" პასუხობდა.

სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შესაძლო ცვლილებებზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია, სამშვიდობო ძალების ყოფნის ნაცვლად ორმხრივი პოლიციური კონტროლი დაწესდეს საერთაშორისო ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთმაც მიიღოს მონაწილეობა. მისი აზრით, რეგიონში მდგომარეობა ფეთქებადსაშიშია, არ ხორციელდება დემილიტარიზაცია, რასაც სწორედ სამშვიდობო ოპერაციაში სამხედრო კომპონენტის არსებობა უშლის ხელს.

**"ვაღიარებთ, რომ რეგიონში ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა, ბევრი იარაღია. მაგრამ სწორედ დემილიტარიზაციისთვის არის საჭირო სამხედრო კომპონენტი,"** – პასუხობს, თავის მხრივ, მიხაილ ბაბიჩი.

**"სამშვიდობოებს გაცილებით მეტი ფუნქცია აქვთ, ვიდრე, უბრალოდ, სისხლისღვრის შეწყვეტაა. ისინი არსებულ შეთანხმებებსაც არ ასრულებენ,"** - აცხადებს გივი თარგამაძე.

გუშინ რუსეთის საპარლამენტო დელეგაციამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან დახურული შეხვედრა გამართა.

შეხვედრის დაწყების წინ ნინო ბურჯანაძემ რუს კოლეგებს განუცხადა, რომ შეშფოთებულია ქართული-ოსური კონფლიქტის ზონასთან დაკავშირებით ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი და სახელმწიფო უწყების პოზიციით. **„მე მათ რამდენჯერმე გავუგზავნე ოფიციალური წერილი, რომელშიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონასთან დაკავშირებით დიალოგის დაწყებას ვთავაზობდი. ასეთი მიმართვა გაეგზავნა თავად ბატონ ბორის გრიზლოვს, მაგრამ მისგან პასუხი არ მიგვიღია,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას რუსეთის სახელმწიფო სათათბირო დღეს განიხილავს. ამის თაობაზე გუშინ ქვედა პალატის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა განაცხადა. **"ვთვლი, რომ ის განცხადებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტში გაკეთდა, სიტუაციის მოგვარებას ხელს არ უწყობს. პირიქით, რეგიონში ვითარებას აძძიმებს,"** - თქვა გრიზლოვმა.

მისი თქმით, რუსი სამხედროები კონფლიქტის ზონაში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით იმყოფებიან. თუკი მოვლენები ქართული სცენარით განვითარდა, ეს აუცილებლად სისხლისღვრას და ადამიანთა მსხვერპლს გამოიწვევს, - მიაჩნია სპიკერს.

**"რუსი მშვიდობისმყოფელების კონფლიქტის ზონიდან გაყვანა ვითარებას გაართულებს და ის მოვლენები განმეორდება, რასაც ადგილი ჰქონდა 14 წლის წინ. ამაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დაეკისრება,"** - ეს აზრი გუშინ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა დააფიქსირა.

მისივე თქმით, რუსულმა მხარემ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაზე მწვავე რეაქცია არ უნდა მოახდინოს, რადგან ქართველმა დეპუტატებმა მხოლოდ და მხოლოდ წინადადებით მიმართეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მირონოვის განცხადებით, ამ დადგენილების მიმღებ საქართველოს პარლამენტს უნდა ესმოდეს, რომ თავის თავზე პასუხისმგებლობას იღებს. **„როგორც ჩანს, ქართველი დეპუტატები მზად არ არიან, ეს პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე აიღონ,"** - მიაჩნია ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს.

გუშინვე საქართველოს პარლამენტის დადგენილებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განცხადებით გამოეხმაურა. მასში ნათქვამია, რომ მოსკოვი შეშფოთებულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, რომელიც „ანტირუსული ხასიათისაა", და კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციის შესაძლებლობაზე მიუთითებს. **"ქართველი კანონმდებლები ნათლად მიანიშნებენ, რომ საქართველო, შესაძლოა, მთელი რეგიონის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ გზას დაადგეს. იმის იმედი გვრჩება, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ამ საკითხს მთელი პასუხისმგებლობით და თავშეკავებით მოეკიდება. საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ რუსული მხარე განაგრძობს მოქმედებას თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად და, საკუთარი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში,"** – ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროში დარწმუნებულნი არიან, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეების პრობლემები მოლაპარაკებების არსებული ფორმატის ფარგლებში მოგვარდება. **"ამგვარი ეფექტური მექანიზმი შერეული საკონტროლო კომისიაა. მხარეებს მოვუწოდებთ, ჩატარდეს შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების შეხვედრა, რათა კონფლიქტის მოგვარების შესახებ ერთობლივი სამოქმედო პროგრამა შეიმუშაონ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაჟღერებული წინადადებები და სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის მიერ 2005 წლის დეკემბერში გაჟღერებული ინიციატივები შესაძლოა, ამ ერთობლივი პროგრამის საფუძველი გახდეს,"** – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ეუთოს მიერ მოწონებული, საქართველოს სამშვიდობო გეგმა, რომელსაც გასული წლის დეკემბერში, სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში, ეუთოს სამიტზე მხარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც დაუჭირა, „არ არსებობს".

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა გუშინ მოსკოვში გაემგზავრა, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 1992 წლის სოჭის ხელშეკრულების განხილვას გეგმავს, რომლის საფუძველზეც მოხდა "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების განლაგება.

**"გვინდა, რუსეთთან ერთად განვახორციელოთ ის სამშვიდობო გეგმა, რაც ჩვენი ძირითადი ამოცანაა. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით პოზიციების თანხვედრას დავინახავთ, ხომ კარგი. თუ არადა, არც ერთი ნაბიჯი საქართველოს ინტერესების საზიანოდ გადადგმული არ იქნება,"** - აცხადებს გიორგი ხაინდრავა.

მისი თქმით, მოსკოვის შეხვედრებზე, ასევე, განიხილება 20-21 თებერვალს ვენაში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დღის წესრიგი. ამ სხდომაზე ქართული მხარე, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის მიზნით, კონკრეტული გეგმის წარდგენას აპირებს.

# მუსლიმთა პროტესტი გრძელდება

პირველი გვერდიდან

გუშინ ქალაქ ყარაჩში სუნიტი-მუსლიმები განაგრძობდნენ საპროტესტო მანიფესტაციებს. უსაფრთხოების მიზნით, ქალაქის ცენტრში 5 ათასამდე შეიარაღებული პოლიციელი იყო მობილიზებული.

წინა დღეს ქალაქ ფეშავარში საპროტესტო აქციის ათასამდე მონაწილემ რესტორნები, მაღაზიები და ბანკები დაარბია. თავდასხმები ძირითადად უცხოური კომპანიების ოფისებზე განხორციელდა. პოლიციამ დემონსტრანტთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

პაკისტანის სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, უწესრიგობების შედეგად დაღუპულია რამდენიმე ადამიანი, ხოლო ასობით დაშავებულია.

ქვეყნის დედაქალაქ ისლამაბადში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული, რათა დასავლეთის ქვეყნების საელჩოებზე თავდასხმები არ დაუშვან.

პოლიციის ცნობით, ფეშავარის დემონსტრაციაში 70 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ზოგიერთმა დემონსტრანტმა იერიში მიიტანა მობილური ტელეფონების ნორვეგიულ კომპანია "ტელენორის" შენობაზე, ასევე სხვა კომპანიათა ოფისებზე.

მღელვარე დემონსტრაციები მიმდინარეობს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ასობით დემონსტრანტმა დანიის საელჩოს წინ დაწვა დანიის დროშა. ხოლო, პარლამენტის წევრმა მუჯიბ ჰათამანმა ბოდიშის მოხდა მოითხოვა დანიის მთავრობისგან: "ჩვენ გვინდა, რომ მათ დაგმონ "იალანდს პოსტენის" ქმედება. ჩვენ მათგან მოვითხოვთ ბოდიშის მოხდას მათი ხალხის სახელით. და, რა თქმა უნდა, ეს ეხება "იალანდს პოსტენსაც" მათ მიერ დაბეჭდილი კარიკატურებისთვის."

მაგრამ ევროკომისიის თავმჯდომარის, ჟოსე მანუელ ბოროზუს თქმით, ევროკავშირს სწორედ ამის გაკეთება არ შეუძლია და არც აპირებს.

ოთხშაბათს სტრასბურგში, ევროპის პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას ბაროზუმ თქვა, რომ ევროკავშირის მთავრობები ვერ ჩაერევიან კერძო პირებისა და დამოუკიდებელი მასმედიის საქმეებში. **"მთავრობები ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები არ არიან პასუხისმგებელი იმ მოსაზრებებისთვის, რასაც კერძო პირები გამოხატავენ. პირიქით, კერძო პირების მიერ გამოხატული მოსაზრებები ეხება ამ პირებს და მხოლოდ მათ. ისინი არ ეხება ქვეყანას, ხალხს, რელიგიას. და სხვებს არ უნდა მივცეთ იმის უფლება, საქმე პირიქით წარმოადგინონ,"** – ამბობს ბაროზუ.

ევროკომისიის პრეზიდენტმა დაგმო დანიის კომპანიებისა და პროდუქციის მიმართ ბოიკოტი და გააფრთხილა მუსულმანური ქვეყნები, რომ ეს ორივე მხარეს ავნებს. დანიური ნაწარმის ბოიკოტი, ევროპის ბოიკოტს ნიშნავსო, დასძინა მან. ამავე დროს თავის გამოსვლაში მან სოლიდარობა გამოხატა დანიის მთავრობისა და ხალხის მისამართით. **"მე ველაპარაკე დანიის პრემიერ-მინისტრს და კომისიის სოლიდარობა გამოვუხატე. მე დღეს აქ მსურს სოლიდარობა გამოვუხატო დანიელ ხალხსაც. ხალხს, რომელიც სამართლიანად სარგებლობს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ერთერთი ყველაზე გახსნილი და ტოლერანტი ხალხის რეპუტაციით,"** – განაცხადა ბაროზუმ.

ამ ტოლერანტობის გამოცდა გადაწყვიტა ირანმა. თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე ქალაქის მუნიციპალიტეტის გაზეთ "ჰამშაჰრის" რედაქტორმა მოჰამად რეზა ზაერიმ სამშაბათს დაიცვა გაზეთის გადაწყვეტილება, კონკურსი გამოაცხადოს ჰოლოკოსტის თემაზე კარიკატურების შექმნაზე.

ზაერის თქმით, ამით გაზეთს სურს ნახოს, აკეთებს თუ არა გამონაკლისებს დასავლეთი, როცა სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკობს.

ებრაულმა ორგანიზაციებმა მკაცრად დაგმეს ირანის გაზეთის ეს ინიციატივა როგორც ირანში, ისე მრავალ სხვა ქვეყანაში. ისრაელელები ამბობენ, რომ განსხვავებით დანიის გაზეთისგან, "ჰამშაჰრი" არ არის დამოუკიდებელი ორგანო და იგი ირანის ხელისუფლების აზრს გამოხატავს.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე

8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge


# საფრანგეთი ირანს ადანაშაულებს

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ დუსტ-ბლაზიმ ირანი "საიდუმლო სამხედრო ბირთვული პროგრამის" განვითარებაში დაადანაშაულა.

ამგვარმა ბრალდებამ პარიზიდან თეირანის მისამართით პირველად გაიჟღერა. დღემდე ირანს ბირთვული იარაღის შექმნის განზრახვაში აშშ და დიდი ბრიტანეთი სდებდნენ ბრალს.

საფრანგეთის დიპლომატიის მეთაურის თქმით, მშვიდობიანი ატომის ვერანაირი პროგრამა ვერ ახსნის ირანის ქმედებებს ბირთვული ენერგეტიკის სფეროში. "მაშასადამე, ეს ირანის საიდუმლო სამხედრო პროგრამაა," - აღნიშნა დუსტ-ბლაზიმ.

**"საერთაშორისო თანამეგობრობა მკაფიოდ და მკაცრად მოითხოვდა ირანისგან, მიეთითებინა ბირთვული პროგრამის განვითარების მიზეზები და შეეწყვიტა ურანის გამდიდრება, თუმცა, თეირანს ჩვენი არ ესმის. აი რატომაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში პირველად, ამ საკითხის გარშემო საერთაშორისო გაერთიანება ერთიანია. არა მარტო საფრანგეთი, გერმანია და ბრიტანეთი, არამედ ჩინეთი და რუსეთიც,"**- აღნიშნა საფრანგეთის საგარეო მინისტრმა.

6 მარტს, ირანის ბირთვული პროგრამის საკითხს მაგატე განიხილავს, რომელმაც ირანის "ბირთვული დოსიე" შესაძლოა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადასცეს.

მაგატეს რეზოლუციას, რომელსაც უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივმა წევრმა დაუჭირა მხარი, შეიძლება ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება მოჰყვეს.

# ირანში დემოკრატიის განვითარებას დააფინანსებენ

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას განზრახული აქვს, ირანში დემოკრატიის მხარდაჭერისთვის კონგრესს 75 მილიონი დოლარის გამოყოფა სთხოვოს.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, ეს სახსრები ირანისთვის რადიომაუწყებლობის გაუმჯობესებას და ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაფართოებას მოხმარდება.

წელს კონგრესმა ირანში დემოკრატიის მხარდაჭერისთვის უკვე 10 მილიონი დოლარი გამოყო.

# სკანდალური პოლიციელი სპეცოპერაციას ემსხვერპლა

ᲕᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იმ დროს გია თელია დავით ზეიკიძის "მარჯვენა ხელის" სტატუსით სარგებლობდა და ზეიკიძისა და მისი თანაგუნდელების წინააღმდეგ დაწყებული დევნის ერთ-ერთი მთავარი ობიექტიც გახდა. შს მაშინდელმა მინისტრმა, მოთა კვირაიამ ზეიკიძის სხვა თანაგუნდელებთან ერთად გია თელიაც დააპატიმრა და იგი იმ დროისთვის თბილისში მომხდარ სხვადასხვა გახმაურებულ დანაშაულებში, მათ შორის შეკვეთილ მკვლელობაშიც დაადანაშაულეს - მისგან თითქმის ყველა გახმაურებული მკვლელობის აღიარება მოითხოვეს - მათ შორის, თბილისის ყოფილი პროკურორის მიხეილ ქურდაძის, "მხედრიონელების" ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანაძის, ე.წ. კანონიერი ქურდის ანზორ აღაიანის და სხვა მკვლელობების. მას ადანაშაულებდნენ იმ პერიოდში თბილისში გავრცელებული მეთოდის სისრულეში მოყვანაშიც – დაკავებულთა ლინჩის წესით დასჯაში.

დაპატიმრებული გია თელია მაშინ სასტიკად აწამეს და როგორც თავად აცხადებდა, იძულებული გახდა, ზოგიერთი მკვლელობა ეღიარებინა - ისინი, რომელთა შესახებაც დეტალურ ინფორმაციებს ფლობდა და რის გამოც, გამოძიებას ჩიხში შეიყვანდა. ასეც მოხდა, მოგვიანებით, გია თელია პატიმრობიდან გაათავისუფლეს და პარლამენტში ზეიკიძისა და მისი თანაგუნდელების საქმის გამოსაძიებლად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა ის ყველა ბრალდებაში გაამართლა. მართალია, გია თელიას ოფიციალურად არც ერთი ბრალდება არ დაუდასტურდა, მაგრამ იგი ფლობდა სერიოზულ ინფორმაციებს 90-იანი წლების დასაწყისში თბილისში მომხდარი ყველა გახმაურებული დანაშაულის შესახებ, რომელთა თაობაზეც, მას საჯაროდ არასდროს უსაუბრია.

რეაბილიტირებული გია თელია სამუშაოდ პოლიციაში აღარ დაბრუნებულა. ის როგორც ნარკომომხმარებელი არა ერთხელ დააკავეს, დაკავებული იყო ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილის სტატუსითაც.

*24 საათი*

# აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მაღალჩინოსნებს თანხების მითვისებაში ადანაშაულებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დავით ბაციკიძე რეგიონის მაღალჩინოსნებს სახელმწიფო თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. საუბარია, 2005 წელს ბათუმის სკოლების გასარემონტებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილ 12 მილიონ ლარზე. **„აჭარის განათლების სამინისტროდან გამოვითხოვე დოკუმენტაცია, რომელშიც უამრავი დარღვევა აღმოჩნდა. ამის შემდეგ შემოვიარე თითქმის ყველა სკოლა, სადაც უამრავი დეფექტი აღმოჩნდა. მაშინ, როცა 12-კაციანმა კომისიამ, რომელსაც სკოლების გარემონტებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა, ვერც ერთი დარღვევა ვერ გამოვლინა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ კომისიის წევრებს სასწავლო დაწესებულებები არც დაუთვალიერებიათ, ისე შეადგინეს დასკვნა და ყველა სკოლა ჩაბარებულად გამოაცხადეს“**, - აცხადებს დავით ბაციკიძე.

დეპუტატი მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის ფინანსური პოლიციისთვის გადაცემას აპირებს და აჭარის განათლების მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

*მედიანიუსი*

**სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი" აცხადებს აუქციონს 6.5 ტონა ლითონის ჯართის (გათბობის თუჯის რადიატორები) რეალიზაციაზე. დაინტერესებულმა პირმა მოგვმართოს ქ. თბილისი გორგასლის ქ. 71. ტელეფონი 75-28-82, 75-48-74.**

## შესწორება

გაზეთ “24 საათის” 16 თებერვლის ნომერში ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტომ გამოაქვეყნა სატენდერო განცხადება, სადაც გაიპარა უზუსტობა:

სალიცენზიო ბლოკები: ნაცვლად “II P ბლოკი”-ის უნდა იკითხებოდეს “II B ბლოკი”.

II ბლოკში ნაცვლად “სამუშაო სიღრმე 1700 მ-ია” უნდა იკითხებოდეს - “საშუალო სიღრმე 1700 კმ-ია”.

ასევე ქვემოთ ყველა ბლოკში განზომილება კვ.მ შეცდომითაა და უნდა იყოს კვ.კმ.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 2 თებერვლის კვების პროდუქტების შესყიდვაზე გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების მე-15 პუნქტში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება: **კარაქი ძროხის**-ცხიმიანობა 82%-ის ნაცვლად უნდა იყოს ცხიმიანობა არანაკლებ 72%-ისა.

# იუსტიციის სამინისტრომ რეგიონული ოფისების მონიტორინგი ჩაატარა

*გუშინ კახეთის რეგიონს იუსტიციის მინისტრი ესტუმრა, რომელმაც თავის უწყებაში დაქვემდებარებული სამსახურები მოინახულა, სადაც არსებული პირობები არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა.*

**“მეუღლე გარდამეცვალა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესაგროვებლად უკვე ოთხჯერ მომიყვანეს. მითხრეს, საბუთს მოგცემთო. თუ ახლაც უკან გამაბრუნეს, მინისტრთან უნდა ვიჩივლო”**, - ასე შესჩივლა თელაველმა თინა დემუროვმა გია ქავთარაძეს თავისი პრობლემა, რომელმაც არ იცოდა, რომ მის წინ სწორედ მინისტრი იდგა.

გია ქავთარაძემ კახეთში მოულოდნელად ჩასვლა იმ მოტივით გადაწყვიტა, რომ თავად გასცნობოდა მის უწყებას დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობას. იუსტიციის მინისტრმა ვოიაჟი თელავის რაიონიდან დაიწყო და იქ შექმნილი მდგომარეობით ნაწილობრივ უკმაყოფილო დარჩა.

**“აქ რამდენიმე საკითხია მოსაგვარებელი. ის, რომ მძიმე პირობებში მუშაობენ ჩვენი თანამშრომლები. მეორე – ძალიან არ მომეწონა ჩვენი თანამშრომლების მოქალაქეებთან ურთიერთობის ფორმა. კერძოდ, სამოქალაქო რეესტრში შესვლის დროს აღმოჩნდა, რომ პასპორტის მისაღებად მოქალაქე ნახევარი საათის განმავლობაში იჯდა დერეფანში. ეს იმ დროს, როცა სა-პასპორტეს თანამშრომლები ოთახებში იყვნენ შეკეტილები”**, - აცხადებს იუსტიციის მინისტრი ქავთარაძე, რომელიც არ გამორიცხავს, რომ დღის წესრიგში საკადრო ცვლილებების აუცილებლობა დადგეს.

მინისტრი კახეთში სტუმრობისას, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს სამოქალაქო და საჯარო რეესტრის ადგილობრივ სამსახურებს ეწვია, ასევე, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის კახეთის ბიუროს.

რეგიონული ოფისების მონიტორინგი ჩატარდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც, სადაც იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე იმყოფებოდა, ხოლო მინისტრის კიდევ ერთმა მოადგილემ, კოტე ვარძელაშვილმა ქვემო ქართლის რეგიონული ბიუროების მუშაობა შეამოწმა.

მანამდე კი, სანამ იუსტიციის მინისტრი და მისი მოადგილეები რეგიონული ბიუროების მონიტორინგს დაიწყებდნენ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში „საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის" რეალიზების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი მმართველი ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, რომელსაც ჯგუფის ხელმძღვანელი გია ქავთარაძე უძღვებოდა, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პირველი ვარიანტი განიხილეს. ქართულ მხარეს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები გადაეცემა.

სამოქმედო გეგმის პირველი ვარიანტი 30 მარტისთვის უნდა იყოს მზად, ხოლო საბოლოო ვარიანტი 2006 წლის მაისისთვის.

*24 საათი*

# მკვლელობის აღიარებამ გამოძიება დააბნია

*რამდენიმე დღის წინათ, სიღნაღის პოლიციაში, 2003 წელს ჩადენილი ალა სესიტაშვილის მკვლელობის აღიარებით, სოფელ საქობოს მკვიდრი მირიან მირიანაშვილი გამოცხადდა. არადა, ამ მკვლელობის გამო უკვე იხდის სასჯელს წნორელი ივანე დევიძე. მიუხედავად იმისა, რომ დევიძე სასამართლოს განაჩენის გამოტანის ბოლო წუთამდე ამბობდა, რომ სესიტაშვილი მას არ მოუკლავს, სიღნაღის რაიონის მოსამართლემ სოსო ბეგიაშვილმა ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამჟამად მოსამართლე ბეგიაშვილს თავისივე გამოტანილი განაჩენი უკვე აღარ ახსოვს.*

ზვიად რუაძე
*ქახეთიდან*

21 წლის მირიან მირიანაშვილის თქმით, მან “ცოდვების სიმძიმეს” ვერ გაუძლო და ამიტომ აღიარა დანაშაული. როგორც თავად ამბობს, ალა სესიტაშვილს ყაჩაღობის მიზნით დაესხა თავს და მოკლა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მირიანაშვილი პოლიციაში რამდენიმე წლის წინ ჩადენილი ქურდობის აღიარებისთვის მივიდა.

**“იგი პოლიციაში იმისთვის მოვიდა, რომ ქურდობა ეღიარებინა, მაგრამ მოულოდნელად სასჯელი მიესაჯა, ხოლო ივანეს სასამართლო განაჩენი სხვადასხვა დანაშაულებისთვის, მათ შორის დეზერტირობის, იარაღის ტარება-შენახვისა და სესიტაშვილის მკვლელობისთვის გამოუტანეს. თუმცა, ივანე დევიძემ სასამართლოზე, მკვლელობის გარდა, ყველა დანაშაული აღიარა, მაგრამ მოსამართლე იოსებ ბეგიაშვილმა დაადგინა, რომ სამხედრო პროკურატურის მიერ შეგროვებული ყველა მტკიცებულება იმაზე მიუთითებდა, რომ ალა სესიტაშვილის მკვლელი ივანე დევიძე იყო, რისთვისაც, სასჯელთა შეკრების წესით, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი არ გასაჩივრებულა. თუმცა, როცა გაზეთი “24 საათი" აღნიშნული განაჩენის დეტალებით დაინტერესდა, იოსებ ბეგიაშვილმა თავის მიერ გამოტანილი განაჩენი ვერ გაიხსენა. “ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა და საქმის დეტალები აღარ მახსოვს”**, - იმართლებს თავს ბეგიაშვილი.

მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ივანე დევიძის მეზობლების თქმით, დევიძეების ოჯახს ალა სესიტაშვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მათი დამოკიდებულება წვრილმანმა სამეზობლო დავამ შეცვალა, თუმცა სერიოზულ დაპირისპირებამდე საქმე არასოდეს მისულა. ამას თავად სესიტაშვილის ოჯახის წევრებიც ამბობენ. სასამართლოსგან მკვლელად შერაცხული ივანე დევიძის დედა კი, როგორც მისი მეზობლები ამბობენ, სამართლიანობის აღდგენას ზემდგომი ორგანოებისგან წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა.

**“მართალია ივანე სხვადასხვა ხულიგნობას ჩადიოდა, მაგრამ მისი მკვლელობაში მონაწილეობა ჩვენთვისაც წარმოუდგენელი იყო. დედამისს კი არავინ უჯერებდა, რომ მისი შვილი უდანაშაულო იყო. იმ დროს ისეთი ცხოვრება იყო, რომ დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც დამნაშავედ აცხადებდნენ”**, - ამბობს დევიძეების მეზობელი, რომელიც ამბობს, რომ, მოსამართლე სოსო ბეგიაშვილის შიშით, საკუთარ ვინაობას ვერ გაამხელს.

რაც შეეხება მირიან მირიანაშვილს, მისი ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ იგი სხვადასხვა დანაშაულებში მონაწილეობდა, რის გამოც, პირობით სასჯელსაც იხდიდა, მაგრამ, მათივე თქმით, მკვლელობა მირიანს არ ჩაუდენია. **“დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი აიძულეს, ის დანაშაული ეღიარებინა, რომელიც არ ჩაუდენია”**, - ირწმუნება მირიანის დედა, ეთერ მირიანაშვილი.

როგორც სიღნაღის პოლიციაში ამბობენ, მირიან მირიანაშვილის აღიარებამ ისინი დააბნია კიდეც. ამჟამად მირიანაშვილს ბრალი მხოლოდ ქურდობისთვის აქვს წაყენებული. დამძიმდება თუ არა მისი ბრალდება მკვლელობის მუხლით და შეუმსუბუქდება თუ არა სასჯელი ივანე დევიძეს, ამას გამოძიება დაადგენს. ალა სესიტაშვილის მკვლელობაში ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო კი, ძიება დაწყებულია.

# ტურანბას ჯგუფის მიერ მოკლული ფირცხალავას მშობლები შვილის ცხედრის გადმოცემას ითხოვენ

გალის რაიონის სოფელ განახლებაში აფხაზური მილიციის მიერ მოკლული 25 წლის ზვიად ფირცხალავას მშობლებმა ენგურის ხიდზე გზა გადაკეტეს. ისინი მკვლელობის საქმეში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ჩართვას და, ასევე, სოხუმის ხელისუფლებისგან შვილის ცხედრის დაბრუნებას ითხოვენ.

მანამდე კი, ისინი აფხაზეთში გადასვლას თვითნებურად შეეცადნენ, რის გამოც, გალის აფხაზური ადმინისტრაციის მითითებით, ენგურის ხიდი სეპარატისტების საგანგებო დავალებათა სამმართველოს შეიარაღებულმა წარმომადგენლებმა გადაკეტეს.

14 თებერვალს გალის აფხაზური მილიციის უფროსის მოადგილის, ოთარ ტურანბას ხელმძღვანელობით გალის დაბალი ზონის სოფლებში - ქვემო ბარღებაში, განახლებასა და გაგიდაში ე.წ. პროფილაქტიკური რეიდი ჩატარდა. განახლებაში მათ გაუფრთხილებლად გაუხსნეს ცეცხლი ქუჩაში მოსიარულე ზვიად ფირცხალავასა და მის მეგობარს ტყებუჩავას.

ტყებუჩავა დაიჭრა და საავადმყოფოს ნაცვლად, უმიზეზოდ გალის მილიციაში გადაიყვანეს. როგორც ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ იგი მკვლელობის საქმეში ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის ჩაბმას მოითხოვს.

*მედიანიუსი*

# საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი მოწვევა კონკურსზე

**ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის, ლაგოდეხის ნაკრძალისა და აღკვეთილის, თუშეთის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალისა და ილტოს აღკვეთილის და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადება ველური ბუნების აღრიცხვისა და მიღებული მასალის ანალიზისათვის**

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF TF 023968 GE) განმახორციელებელ სააგენტოს (PIU), აცხადებს კონკურსს ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის, ლაგოდეხის ნაკრძალისა და აღკვეთილის, თუშეთის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალისა და ილტოს აღკვეთილის და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადებაზე ველური ბუნების აღრიცხვისა და მიღებული მასალის ანალიზისათვის.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის საკონსულტაციო ორგანიზაციებს, რათა გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო ინფორმაცია (საპრეზენტაციო ბროშურები, შესრულებული მსგავსი მომსახურების აღწერა და ა.შ., სადაც ნაჩვენები იქნება როგორც ორგანიზაციის, ასევე პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, კურიკულუმ ვიტა), რაც დაადასტურებს მათ მიერ აღნიშნული ამოცანის მაღალკვალიფიციურად შესრულების შესაძლებლობას.

კონსულტანტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს შემდეგი კვალიფიკაციის თანამშრომლები:

- ზოოლოგი (სასურველია ტერიოლოგი)
- ბოტანიკოსი
- ეკოლოგი
- გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების სპეციალისტი

კონსულტანტს უნდა ჰყავდეს როგორც საველე გამოცდილების მქონე, ისე სასწავლო გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია იურიდიულად რეგისტრირებულმა (არასახელმწიფო) ორგანიზაციებმა და საკონსულტაციო ფირმებმა უნდა წარადგინონ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორის - რატი ჯაფარიძის სახელზე, 2006 წლის 6 მარტის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0179, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9, V სართული, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი. სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - atevdoradze@gpadc.org.ge და ტელეფონის - 251566 საშუალებით, ცენტრის შესყიდვების მთავარ სპეციალისტთან - ანა თევდორაძესთან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს 8-13 წლის ასაკის ბავშვების სქოლიოზისა და მხედველობის დარღვევების გამოვლენის და რეაბილიტაციისა და ფსიქიური პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად :

I ლოტი: 8-13 წლის ასაკის ბავშვების სქოლიოზისა და მხედველობის დარღვევების გამოვლენის და რეაბილიტაცია

II ლოტი: ფსიქიური პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია

3. მომსახურების მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

**4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 მარტიდან 10 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების ადგილობრივი სამსახური).**

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა)ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერტიფიცირების შესაბამისი სამსახურიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარდგენით;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

**6**. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის სახით, დარჩენილი ორი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

**7.** ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

-პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე;

- პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნეს საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

-ტენდერში მონაწილე პირის დასახელება;

-მომსახურების ზოგადი აღწერილობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გამოცდილების, მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესებისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ.

-ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**8. პირველადი სატენდერო წიმადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები კანონით დადგენილი წესით საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებზეც იქნება დამაკმაყოფილებელი საექსპერტო დასკვნა.**

**9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საიდენტიფიკაციო კოდი 245428531, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების თარიღი დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.**

**10**. პრეტენდენტებმა თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა

**11.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: მარინა რუხაძე ტელ: 7-06-97, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*

ფეხბურთი

# ფიფამ მოედნები შეგვიმოწმა

ვალერი ჩუხრი და ნოდარ ახალკაცი პრესკონფერენციაზე.

მიხეილ აბაიშვილი

ფიფას რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ვალერი ჩუხრი და ფიფას პროგრამა "გოლი 2"-ის კოორდინატორი ევა პასკიე ორი დღის განმავლობაში სტუმრობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. მათ ჩაატარეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური ცენტრის ინსპექტირება. ცენტრი ფიფას ფინანსური დახმარების პროგრამა "გოლის" გრანტით აშენდა და 2003 წლის მაისში გაიხსნა. გახსნის საზეიმო ცერემონიალს ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დაესწრტო. თუმცა, იმ დროიდან მოყოლებული, ტექნიკური ცენტრი თითქმის უმოქმედოდაა. მიზეზი მარტივია: ცენტრს არა აქვს იმ დონის სავარჯიშო მოედანი, რომელზეც ეროვნული ნაკრები შეძლებს ვარჯიშს და მომზადებას. ფიფას ორკაციანი დელეგაციის ვიზიტის მთავარი მიზანიც სწორედ მოედნებს უკავშირდება. პროგრამა "გოლი 2"-ის ფარგლებში საქართველოს უკვე გამოეყო 400 ათასი დოლარი, რაც ამ ცენტრის ტერიტორიაზე უმაღლესი ხარისხის, ეგრეთ წოდებული "მესამე თაობის" ხელოვნურსაფარიანი მოედნის აშენებას უნდა მოხმარდეს.

"ჩამოვედით იმისთვის, რომ დაგვეთვალიერებინა ტექნიკური ცენტრი და შეგვეჩჩია ტერიტორია ხელოვნურსაფარიანი მოედნის ასაშენებლად, რომელსაც ფიფა პროგრამა "გოლი 2"-ის ფარგლებში დააფინანსებს", - განაცხადა ვალერი ჩუხრიმ გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც ტექნიკური ცენტრის სასტუმრო ნაგებობის, ისე მოედნებისა და დამხმარე ნაგებობების მდგომარეობით ძალზე უკმაყოფილოა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.

"სამწუხაროდ, ბასა ღოღობერიძის სახელობის ტექნიკური ცენტრი საშინელ მდგომარეობაშია და მის სათანადო კონდიციებამდე მიყვანას, დიდ ფინანსებთან ერთად, დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარება დასჭირდება. მთავარი პრობლემა ის არის, რომ დაპროექტების დროს ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, რის გამოც ცენტრი დღემდე პრაქტიკულად გამოუსადეგარია. სხვა გზა არა გვაქვს – ასეთი მემკვიდრეობა გვერგო და უმოკლეს დროში, კონკრეტულად კი შემოდგომამდე უნდა მოვასწროთ ყველა ხარვეზის აღმოფხვრა, რადგან სექტემბერში დაიწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებს უნდა ჰქონდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოსამზადებელი ბაზა. ეს მხოლოდ ხელოვნურსაფარიან მოედანს არ ეხება. უნდა გავაკეთოთ ბუნებრივსაფარიანი მოედანიც, რომელიც "დინამოსა" და "ლოკომოტივის" სტადიონებზე არსებული გაზონების მსგავსი იქნება. ამ სტადიონებზეც, მოგეხსენებათ, უახლოეს მომავალში იგეგმება უმაღლესი ხარისხის მოედნის საფარის დაგება და მნიშვნელოვანია, რომ როგორც სათამაშო, ისე სავარჯიშო გაზონები იდენტური იყოს – ნაკრები ისეთივე გაზონზე უნდა მოემზადოს, როგორზეც თამაში მოუწევს", - თქვა ნოდარ ახალკაცმა.

აქვე გამცნობთ, რომ ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება კიდევ ერთი პრესკონფერენცია, სადაც გამომზეურდება საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მალტის საერთაშორისო ოთხთა ტურნირში.

ტურნირი 2006

# "მიკი მაუსის" შურისძიება

ნინო პირველი

სესტრიერე, 2006 წლის 14 თებერვალი, ქალ მოთხილამურეთა წინასაოლიმპიადო ტრენინგი. ამერიკელი ლინდსი კილდოუ, რომელიც მეტად არასახარბიელო წარმოდგენისაა სესტრიერეს სათხილამურო ბილიკზე, უდარდელად იღებს სტარტს. მისთვის ეს ბილიკი სერიოზული გამოწვევა კი არა, ბავშვური გასართობია. "ნამდვილი "მიკი მაუსია" ეს სესტრიერე. არანაირი სირთულე, არანაირი ბარიერი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პატარა გოგო ვიყო და რომელიმე დაბალი ბორცვიდან ვეშვებოდე", - წუწუნებდა ლინდსი სულ რაღაც თერთმეტი თვის წინ. მას სხვა მოთხილამურეებიც უკრავდნენ კვერს. გერმანელი მარტინა გრეგი, შვედი ანია პერსონი, ავსტრიელი რენატე გოტჩლი.. არავისთვის არ იყო სესტრიერე რაიმე განსაკუთრებული. ამდენი საყვედურის შემდეგ ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა შესაბამისი ზომები მიიღეს. ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და რატომ უნდა დაიჩივლოს ვინმემ, სესტრიერეში ასპარეზობა ისე ადვილი იყო, არც კი ღირდა მისთვის ლოგინიდან ადგომაო. იტალიელებმა ისე ახლოს მიიტანეს გულთან ლინდსი კილდოუსა და მისი კოლეგების გასაჭირი, რომ სესტრიერეს ბილიკი უმოკლეს დროში გადააკეთეს და ერთერთ ურთულეს თოვლ-ყინულის გზად აქციეს, თან თავმომწონედ განაცხადეს, აბა მოდით და ახლაც თქვით, ამ ბილიკზე სრიალი საბავშვო გასართობიაო.

იტალიელთა ამ განაცხადის მერე მოთხილამურეები, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი და უჭირდათ იმის დაჯერება, რომ "მიკი მაუსი" სახიფათო ლომად გადაიქცა. არც ლინდსი კილდოუს სწამდა ასეთი სასტიკი ფერისცვალება და მიტომაც მეტად არხეინად დაეშვა ფინიშისკენ. ყველაფერი სულ რაღაც ოთხ-ხუთ წამში მოხდა: ლინდსიმ თხილამურები ვეღარ დაიმორჩილა და ზურგზე დაეცა, სრიალით წავიდა დამცავი ბადის მიმართულებით და თავიდან ფეხებამდე გაეხვია შიგ. ესეც შენი "მიკი მაუსი"! სესტრიერეს განახლებული ბილიკის მეორე მსხვერპლი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფრანგი კაროლ მონტიე-კარლი გახდა. ისიც უმოწყალოდ დაგორდა ფერდობზე და მხურვალედ ჩაეხვია ცისფერ დამცავ ბადეს. ორივე ტრავმირებული სპორტსმენი მაშველებმა ვერტმფრენით გადაიყვანეს ტურინის საავადმყოფოში. ლინდსი კილდოუს თეძო დაუზიანდა, კაროლ მონტიე-კარლს კი ნეკნების დაჟეჟილობა დაუდგიეს ექიმებმა. მესამე სპორტსმენი, კანადელი ელისონ ფორსისი, რომელსაც ასევე არ გაუმართლა, ისე მძიმედ დაშავდა, რომ ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა ასპარეზობის გაგრძელებაზე. მისთვის ოლიმპიადა წმინდა ვალენტინის დღეს დამთავრდა.

15 თებერვალს ოფიციალური შეჯიბრის დღე დადგა. ორივე ტრავმირებული მოთხილამურე, როგორც ლინდსი კილდოუ, ისე კაროლ მონტიე-კარლი გულდადად გავიდნენ საასპარეზოდ. ერთმა მერვე დრო აჩვენა, მეორე ოცდამერვეე გახდა, მაგრამ შედეგი ამ შემთხვევაში იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რამდენდაც თავად მონაწილეობის ფაქტი. "ტრავმის მიუხედავად, მაინც ძალიან მინდოდა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება. მიხარია, რომ გამბედაობამ შიშს აჯობა", - კმაყოფილი იყო ლინდსი კილდოუ. ახლა უკვე მასაც სჯეროდა "მიკი მაუსის" ფერისცვალების. სესტრიერეს კიდევ ერთი მტერი შვედი ანია პერსონი, რომელმაც 15 თებერვალს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სიხარულს ვერ მალავდა, ნაქცევას რომ გადაურჩა საკმაოდ სახიფათო და უზუსტო ნახტომის შემდეგ. "თავლები დავხუჭე და მეგონა, რომ თავით ჩავერჭობოდი თოვლში. თავადაც გამიკვირდა, როცა მაინც მოვახერხე წონასწორობის შენარჩუნება. ამ შეცდომამ დიდი დრო დამაკარგვინა", - სინანულით აღნიშნა ბრინჯაოს მედლის მფლობელმა. ვერცხლის მედალს შვეიცარიელი მარტინა შილდსი დაეპატრონა, ოლიმპიური ჩემპიონი კი ავსტრიელი მიხაელა დორფმაისტერი გახდა. როგორც იქნა, ავსტრიამაც მოიპოვა ოქროს მედალი დაშვებაში - პირველი ოქრო ტურინის ოლიმპიადაზე და პირველი ოქრო სპორტის ამ სახეობაში 1980 წლის შემდეგ. ავსტრიის ნაკრების სიხარულს მართლაც რომ საზღვარი არ ჰქონდა. ზამთრის სპორტი, განსაკუთრებით სათხილამურო, საოცრად პოპულარულია ავსტრიაში. ტურინში ავსტრიელი მოთხილამურეები ფავორიტების რანგში ჩავიდნენ. ყველა ელოდა, რომ დაშვებაში, სლალომში ან კომბინაციაში აუცილებლად გაიმარჯვებდა ერთერთი ავსტრიელი სპორტსმენი. თვით მრავალჯზის ტრიუმფატორი, "ჰერმინატორად" წოდებული ჰერმან მაიერი ემზადებოდა ოლიმპიური მედლების კოლექციის შესავსებად, მაგრამ... დაშვებაში ჰერმან მაიერი მხოლოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. მეორე ფავორიტი მიხაელ ვალდჰოფერი კარგა ხანს იყო პირველ ადგილზე, მაგრამ სანატრელი ოქრო ასპარეზობის ბოლო წუთებზე დაკარგა - ყველასთვის მოულოდნელად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ფრანგი ანტუან დენორია, რომელმაც სულ ბოლომ აიღო სტარტი და საუკეთესო დრო აჩვენა. იმ დღეს მთელ ავსტრიას სძულდა ანტუან დენორია, ყველას, ერთის გარდა და ის ერთი ფრანგი სპორტსმენის ავსტრიელი მეგობარი ქალი გახლავთ. ბედის ირონიაც ამას ჰქვია...

მოკლედ, დაშვებასა და კომბინაციაში დაკარგული ოქროს მედლების მერე მთელი ერის მოოქროვილი იმედები ქალ მოთხილამურეებზე იყო დმყარებული - ავსტრიელთა შესანიშნავი სამეული - 32 წლის მიხაელა დორფმაისტერი, 30 წლის რენატე გოტჩლი და 32 წლის ალექსანდრა მაისინცერი უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყვნენ. "ორი ღამე არ მეძინა შეჯიბრების წინ. საშინლად ვნერვიულობდი. ასპარეზობის დღეს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი სხეული ტყვიისგან ყოფილიყოს ჩამოსხმული. მაგრამ როცა ჩემი ჯერი დადგა, ფეხებში საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. იმ წუთებში უკვე ვიცოდი, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდი", - ცრემლების ყლაპვით ყვებოდა მიხაელა დორფმაისტერი. ეს მისი უკანასკნელი წარმატებაა. ოლიმპიადის მერე მიხაელა სპორტისთვის თავის დანებებას აპირებს. მშვენიერია პენსიაში გასვლის წინ ოლიმპიური ოქროს მოპოვება...

# ესტონელმა თხილამურები საჩემპიონოდ გაპხა

*ტურინის ოლიმპიური თამაშების მეხუთე დღეს გასათამაშებელი მედლების შვიდ კომპლექტს სათავე დაუდო ესტონელმა ქალმა, რომელიც 10 კილომეტრზე კლასიკური სტილით რბოლაში 27:51.4 წუთში მეორე ტურინულ ოქროს დაეპატრონა. კრისტინა შმიგუნის წარმატება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ გახდა ტურინის ოლიმპიური თამაშების პირველი ოლიმპიელი, რომელმაც ორჯერ შეძლო გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლა, პირველი წარმატება კი 15 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში იზეიმა.*

გიგა გურასაშვილი

შეჯიბრების დასაწყისშივე ქალები გარკვეულ პრობლემებს წააწყდნენ – თბილი ამინდი არცთუ იდეალურ პირობებს ქმნიდა ტრასაზე. ამ პირობების გამო სპორტსმენები საგულდაგულოდ არჩევდნენ საპოხ მასალას თხილამურებისთვის. მდგომარეობას ართულებდა ტრასის რთული მახასიათებლებიც.

რბოლის ნახევარზე მეტი ისე წარიმართა, რომ ესტონელი სპორტსმენი მარშრუტს მდევრის როლში მიუყვებოდა. მხოლოდ პირველი შუალედური მონაკვეთის გავლის შემდეგ - 7,7 კმ. ნიშნულიდან ხელთ იგდო უპირატესობა და რბოლაც საუკეთესო შედეგით დაასრულა.

"პირადად მე ბრწყინვალედ გამოვედი, მაგრამ ექსტრემალურ პირობებში გვიწევდა რბოლა... ძალიან მინდოდა, 10 კილომეტრზე კლასიკურ რბოლაში ოქრო ამეღო. ავიღე კიდეც. ახლა ის ჩემია", - რბოლის შემდეგ თქვა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

2001 წლის დეკემბერში იტალიაში გათამაშებული მსოფლიო თასის შემდეგ შმიგუნს ანაბოლიკურ სტეროიდზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა. თუმცა, როდესაც ესტონელის ანალიზის მეორე ნიმუშიც შეამოწმეს, უარყოფითი პასუხი მიიღეს. მიუხედავად ამისა, შმიგუნს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე უარი უთხრეს.

ოთხი წლის წინათ მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (WADA) ესტონელის საქმე გამოიძია. სააგენტოს პრეზიდენტმა დიკ პაუნდმა მოგვიანებით განაცხადა: პირველმა დოპინგ-ტესტმა თავგზა აგვიბნია, რადგან არ ვიცოდით, თუ ქალის ანალიზთან გვქონდა საქმეო. ერთი სიტყვით, დიდი დომხალი იყო.

მეორე-მესამე ადგილები ნორვეგიელებმა – მარიტ ბიორგენმა და ჰილდე პედერსენმა დაიკავეს. ბიორგენისთვის გუშინდელი ვერცხლი პირველი ინდივიდუალური ჯილდოა. აქამდე სკანდინავიელს მხოლოდ ესტაფეტაში მოეგო.

"ამ ვერცხლს ჩემთვის ოქროს ფასი აქვს, - რბოლის შემდეგ თქვა ბიორგენმა, – სტარტის წინ ვნერვიულობდი, რადგან ავად ვიყავი და არ ვიცოდი, როგორ შევძლებდი ასპარეზობას".

ვერცხლის მედლის შემდეგ ბიორგენს პირველი ინდივიდუალური ოლიმპიური ოქროს მედლის დაუფლების იმედი აქვს.

"დიდებული დღე გვქონდა, - გუშინდელი დღით კმაყოფილია ნორვეგიელთა მწვრთნელი სვეინ ტორე სამდალი, – ავადმყოფობასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა გვქონდა. მიუხედავად ამისა, მედლის მოპოვების იმედი მაინც არ დაგვიკარგავს. ამასობაში ორი მედალი ჩვენია".

წარმატების იმედი რუსთა ბანაკშიც ჰქონდათ, მაგრამ საუკეთესო შედეგი, რომელიც მათ აღმოაჩნდათ, ბარანოვა-მასალკინას მე-16 ადგილია. საუკეთესო შედეგის მქონე რუსი საკუთარ და თანაგუნდელთა წარუმატებლობას თხილამურების არასწორად გაპხვას აბრალებს. აღმართში კარგად მივდიოდით, მაგრამ როცა თავდაღმართს დავადგებოდით, ფაქტობრივად ერთ ადგილს ვტკეპნიდით, მით უმეტეს, რომ დაღმართი გაცილებით მეტი და გრძელი იყოო. თუმცა იქვე დასძინა, ასეთ დღეში მარტო ჩვენ არ ვყოფილვართო: "ამინდმა თავისი სიურპრიზები შემოგვთავაზა: გაწვიმდა, დიდი ტენიანობა იყო, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ვიყავით ყველა".


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულების, სარეაბილიტაციო და დასასვენებელი ტიპის კურორტებით უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად :

ლოტი N1 ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულების, სარეაბილიტაციო ტიპის კურორტებით უზრუნველყოფის მომსახურება

ლოტი N2 ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულების, დასასვენებელი ტიპის კურორტებით უზრუნველყოფის მომსახურება

2. მომსახურების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

3. **დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 მარტიდან 10 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას საქართველოს შს-დან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შს-დან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ;

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 9 მარტის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საიდენტიფიკაციო კოდი 245428531, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: მარინა რუხაძე ტ. 7-06-97, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში, სანიაღვრე ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 13 პოზიციად (ლოტად):

1. ვარკეთილი-3 II მ/რ N4კორპუსი;
2. ვარკეთილი-3 N304-ა კორპუსი;
3. ვარკეთილი ზ/პლატო N12 კორპუსი;
4. ნუცუბიძის II მ/-ის ასასვლელი;
5. ნუცუბიძის ქ. N221 (მინდელის ქუჩის დასაწყისი);
6. ლიბანის ქ. N26;
7. ქვიშხეთის ქ. N34;
8. "სასაკლაოს ხევი" (მოსკოვის გამზირ);
9. წყნეთი (კინოთეატრ "მაისთან");
10. კაიროს ქუჩა (II ნავთლულის მე-3 ქუჩამდე);
11. "კახეთის ხევი" (მეტრო "სამგორთან". ყოფილი მატროსოვის ქუჩისკენ);
12. "ნავთლულის ხევი" (მეტრო "ისანთან") - 2 ადგილას;
13. "წორწორას ხევი" კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთი (დაცვის პოლიციასთან).

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

ახალი სანიაღვრე ქსელების მოწყობის ან არსებული ქსელების (კოლექტორების) დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეკონსტრუქციისა და თანმდევი კეთილმოწყობის სამუშაოების ტექნიკურ დოკუმენტაციას.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი);

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 9 მარტის 12 საათიდან 9 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 თებერვლიდან 2006 წლის 8 მარტის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი გოგია საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ.თბილისში ავარიული კორპუსების გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია **5** პოზიციად (ლოტად):

**1.** ვარკეთილი 3 III მ/რ კორპუსი N313

**2.** ვარკეთილი 3 IV მ/რ კორპუსი N10, II რიგი

**3.** ვარკეთილი 3 III მ/რ კორპუსი N304

3. ლილოს დასახლება IVკვ N12 კორპუსი

**4.** დოლიძის ქუჩა კორპუსი N12

**5.** ცოტნე დადიანის ქუჩა კორპუსი N317

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ტექნიკურ დოკუმენტაციას.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 დღე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები სპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 9 მარტის 12 საათიდან 9 მარტის 16.30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 თებერვლიდან 2006 წლის 8 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი გოგია, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 პოზიციად (ლოტად):

1. ნუცუბიძის ქუჩა N215.
2. ნუცუბიძის ქუჩა N77
3. ჩიქოვანის ქუჩა N38
4. გობრონიძის ქუჩა
5. გორგასლის ქუჩა N103 კორპ. N2
6. ბოტანიკურის ქუჩა N17

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე (ძირითადად - ჩამოშლილი ფერდობების გამო შექმნილი საფრთხესაშიში სიტუაცია) საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საყრდენი კედლების მოწყობისა და თანმდევი კეთილმოწყობის სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციას.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები სპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 9 მარტის 12 საათიდან 9 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 თებერვლიდან 2006 წლის 8 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი გოგია საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს.ი.პ. სამსახური "დიპლომატი" (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N61) აცხადებს ტენდერს შენობის დაცვით მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის "დიპლომატი" სახსრები.

3. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. 61-ში მდებარე შენობისა და მასში განთავსებული საელჩოებისა და ოფისების 24 საათიანი დაცვის მომსახურება. დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ მითითებული იქნება სატენდეროდო კუმენტაციაში.

4. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მომსახურება უნდა განხორციელდეს განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 10 მარტის 17 საათისა.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შ.ს. სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან)

8. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. სამსახური "დიპლომატი", ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 61, სართული 4, სამართლებრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო-საპროტოკოლო განყოფილება.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 10 მარტის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 61, სართული 3, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან/და თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაბამისობაში არ იქნება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ქეთევან ზაკალაშვილი, გიორგი გიგინეიშვილი. 98 40 79, მისამართზე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სამსახური "დიპლომატი", ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 61

**ს.ს.ი.პ. "დიპლომატის" სატენდერო კომისია**

# ვაკანსია საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრში

**სამუშაო ადგილი: თბილისი**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი** ახორციელებს "მსოფლიო ბანკისა" და "გლობალური ფონდის" მიერ დაფინანსებულ პროექტებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში.

**სახელწოდება: სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი;**
**სამუშაოთა აღწერილობა:**

1. "გლობალური ფონდის" მიერ დაფინასებულ პროექტების ფარგლებში შესყიდვების წარმოება საქართველოს "კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად (რაც ითვალისწინებს შესყიდვასთA6 დაკავშირებული დოკუმენტების მომზადებას, ტენდერის ჩატარებისა და შეფასების პროცედურების წარმოებას, ხელშეკრულების გაფორმებას; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ანგარიშის დროულად წარდგენის უზრუნველყოფას);
2. მონაწილეობა "გლობალური ფონდის" პროექტების ფარგლებში შესყიდვების გეგმის მომზადებაში;
3. შესყიდვების გეგმის, შესყიდვების პროცედურებისა და დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა ქვეყანაში მომქმედ კანონმდებლობასთან;
4. ხელშეკრულებების მომზადება და მათი პირობების შესრულებაზე კონტროლი;
5. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, ფინანსთა სამინისტროსთან და საბაჟო დეპარტამენტთან ურთიერთობა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. უმაღლესი განათლება ეკონომიკის/ფინანსების დარგში; სასურველია დამატებით იურიდიული განათლება;
2. საქართველოს "კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
3. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ცოდნა;
4. ქართული და ინგლისური ენების ცოდნა;
5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word, Excel, ელ-ფოსტა);
6. კომუნიკაციის კარგი უნარი;
7. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი;

**დაქირავების პირობები:** გრძელვადიანი კონტრაქტი სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით დასრულების შემდეგ.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფია (CV) (ინგლისურად და ქართულად) და თანმხლები წერილი (cover letter), 2 რეკომენდაცია, დიპლომების და სხვა დოკუმენტების ასლები, ერთი ფოტოსურათი, არაუგვიანეს **2006 წლის 24 თებერვლისა** (17:00) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N23, II კორპუსი, V სართული

ტელეფონი: (99532) 388220, 388210; 331939;

**საკონტაქტო პირი:** დავით აბდუშელიშვილი

გასაუბრებისთვის დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.
ჩაბარებული დოკუმენტები აპლიკანტებს არ დაუბრუნდებათ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ყვარლის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს მიმდინარე წლის განმავლობაში სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

1. ტენდერში მონაწილეობის მსრუველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ა/ა N33030000 სახაზინო შემოსავლების კოდი 30564040 და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი შემდეგ მისამართზე ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N1, ყვარლის რაიონის გამგეობა, II სართული, ეკონომიკის განვითარებისა და ინფრასტრუქტური სამსახური, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია;

2. შესყიდვის ობიექტი:

| | | პროდუქტის დასახელება | რაოდენობა (კილოგრამი) |
|---|---|---|---|
| ლოტი N1 | 1 | მაკარონი | 1594,2 |
| | 2 | კარტოფილი | 2545 |
| | 3 | კომბოსტო | 1612,5 |
| | 4 | ლობიო | 1913 |
| | 5 | ტომატ-პასტა | 487,5 |
| | 6 | ზეთი | 225 |
| | 7 | ხორცი | 2975 |
| | 8 | კარაქი | 562,5 |
| | 9 | შაქარი | 525 |
| | 10 | ყველი | 637,6 |
| | 11 | რძე | 4782 |
| | 12 | ჩაი | 7 |
| | 13 | საკონდიტრო ნაწარმი | 128 |
| | 14 | მარილი | 153,3 |
| | 15 | წიწიბურა | 1594,1 |
| | 16 | ბრინჯი | 1594,1 |
| ლოტი N2 | 1 | პური | 15750 |

3. მიწოდების ადგილი:

| N | ობიექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|
| 1. | N1 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 2. | N2 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 3. | N3 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 4. | N4 ბაგა-ბაღი | ქ. ყვარელი |
| 5. | ბაგა-ბაღი "გვირილა" | ქ. ყვარელი |
| 6. | მთისძირის საბავშვო ბაღი | სოფ. მთისძირი |
| 7. | ენისლის ბაგა-ბაღი | სოფ. ენისელი |
| 8. | ჭიკაანის ბაგა-ბაღი | სოფ. ჭიკაანი |
| 9. | შილდის N1 ბაგა-ბაღი | სოფ. შილდა |
| 10 | შილდის N2 ბაგა-ბაღი | სოფ. შილდა |
| 11 | ახალსოფლის I ბაგა-ბაღი | სოფ. ახალსოფელი |
| 12 | ახალასოფლის საბავშვო ბაღი | სოფ. ახალსოფელი |
| 13 | გავაზის ბაგა-ბაღი | სოფ. გავაზი |
| 14 | გრემის ბაგა-ბაღი | სოფ. გრემი |
| 15 | წიწკანაანთსერის საბავშვო ბაღი | სოფ. წიწკანაანთსერი |
| 16 | კუჭატნის საბავშვო ბაღი | სოფ. კუჭატანი |
| 17 | ოქტომბრის საბავშვო ბაღი | სოფ. ოქტომბერი |
| 18 | ალმატის საბავშვო ბაღი | სოფ. ალმატი |
| 19 | სანავარდოს საბავშვო ბაღი | სოფ. სანავარდო |
| 20 | სანავარდოს ბაგა | სოფ. სანავარდო |
| 21 | ბალღოჯიანის საბავშვო ბაღი | სოფ. ბალღოჯიანი |
| 22 | ჩანტლისყურის საბავშვო ბაღი | სოფ. ჩანტლისყური |
| 23 | შაქრიანის საბავშვო ბაღი | სოფ. შაქრიანი |

kvarel- 2

4. მიწოდების ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე მიმდინარე წლის 7 მარტის 15.00 საათამდე, დახურულ პაკეტში, მისამართი ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N1, ყვარლის რაიონის გამგეობა, II სართული, ეკონომიკის განვითარებისა და ინფრასტრუქტური სამსახური.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არ არსებობის გამო;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირებისათვის:

ა) მეწარმეობის სარეგისტრაციო მოწმობა;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ყვარლის რაიონულ გამგეობაში, ტელ: 8 252 2 10 15.

**სატენდერო კომისია**

---

შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონს ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. №42-ში მდებარე შენობის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელის 163,19 კვ მ ფართობის აუქციონის ფორმით რეალიზების მიზნით

საწყისი გასაყიდი ფასი 165 000 (ას სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 10.02.06 წ. №6 (451) (ჭანტურიას ქ. №12, III სართული).

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 64**
**საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79, 899 35-55-35, 899 55-52-20**

---

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 27 თებერვალს 1300სთ-ზე აცხადებს საჯარო აუქციონს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს სხვადასხვა სინჯის ოქროს ნაწარმს და ჯართს.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

| ლოტის N | ლოტის საერთო წონა (გრამი) | ლოტის საწყისი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 ნაწარმი | 328.5 | 6000 |
| 2 ნაწარმი | 369.0 | 6250 |
| 3 ნაწარმი | 353.3 | 6100 |
| 4 ნაწარმი | 361.7 | 6100 |
| 5 ნაწარმი | 331.4 | 6300 |
| 6 ჯართი | 183.2 | 3500 |

აუქციონი გაიმართება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. N12. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 2006 წლის 24 თებერვლის 1700 საათამდე განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" (ქ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ი. აბაშიძის 70)

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს "საგარანტიო თანხის" გადახდის ქვითარი, რომლის სიდიდეც უნდა შეადგენდეს აუქციონზე გამოტანილი ქონების 10%-ს მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად. განცხადება შეიძლება შეტანილი იქნას ერთ ან მეტ ლოტზე.

აუქციონზე გასაყიდი ნივთების ჩვენება გაიმართება "საფინანსო სააგენტოში" მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით 1100-დან 1500 საათამდე.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და საჯარო აუქციონის პირობების თაობაზე მსურველს შეუძლია მიიღოს "საფინანსო სააგენტოში".

**საკონტაქტო პირი: ბეჟან შარაშიძე,**
**ეკატერინე წიკლაური.**
**ტელ. 25-34-21**
**25-34-22**

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი დასახელების საქონლის შესყიდვაზე.**

| ლოტი | დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| N1 | საველე კარავი | ცეცხლგამძლე, სამფენიანი, თბოიზოლაციით, ანგარის ტიპის, იატაკით, ზომით 6X8X3 მეტრი - 10 კაციანი | 180 ცალი |
| N2 | საველე ჭურჭელი | კომბინირებული, მეტალის | 2000 ცალი |
| N3 | ბალიშები | სილიკონის, ზომით 40X40 სმ | 2750 ცალი |

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 1 მარტის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, სატენდერო კომისიის აპარატში.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან)

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.

- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, **2006 წლის 6 მარტიდან - 9 მარტის 17.00 საათამდე.**

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახაზინო კოდი - 302003000
ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით **2006 წლის 15 მარტს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.

- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

**- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის15 მარტს 17:00 საათზე.**

- თითოეულ ლოტზე შესაძლებელია ცალკეული გამარჯვებულის გამოვლენა

- საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2006 წლის 10 აპრილამდე

- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, საკონტაქტო პირები:

**ირაკლი ნადირაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ტელ: 899 43 76 36

**შალვა ჯულაყიძე** - კონსულტანტი შესყიდვების სფეროში ტელ: 877 50 74 54

**სატენდერო კომისია**

---

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი" (მისამართი: ქ. თბილისი კოსტავას ქ.N64, ტ: 33-58-60) აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ხუთ ლოტად.

| ლოტი | | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1. | თივა | კგ. | 55000 |
| | 2. | ნეკერი | კგ. | 8650 |
| | 3. | მწვანე მასა | კგ. | 15000 |
| 2 | 1. | პური | კგ. | 24273 |
| 3 | 1. | თევზი | კგ. | 3800 |
| | 2. | ღერღილი | კგ. | 285 |
| | 3. | ხორცი საქონლის ახალი | კგ. | 11083 |
| | 4. | ხორცი ცხენის ახალი | კგ. | 7916 |
| | 5. | სტაფილო | კგ. | 23750 |
| | 6. | ჭარხალი | კგ. | 26600 |
| | 7. | კომბოსტო | კგ. | 38000 |
| | 8. | კარტოფილი | კგ. | 33250 |
| | 9. | ვაშლი | კგ. | 33250 |
| | 10. | ხორბალი | კგ. | 3325 |
| | 11. | სიმინდი | კგ. | 3325 |
| | 12. | ქერი | კგ. | 3325 |
| | 13. | სალათის ფურცელი | კგ. | 95 |
| | 14. | საზამთრო | კგ. | 2000 |
| | 15. | კარალიოკი | კგ. | 500 |
| | 16. | მსხალი | კგ. | 500 |
| | 17. | ბანანი | ცალი | 285 |
| | 18. | კივი | კგ. | 47 |
| | 19. | კომბ.საკვები | კგ. | 791 |
| | 20. | ქატო | კგ. | 791 |
| | 21. | ბოლოკი | კგ. | 24 |
| | 22. | კიტრი | კგ. | 1000 |
| | 23. | პომიდორი | კგ. | 500 |
| | 24. | ხახვი | კგ. | 285 |
| | 25. | კოჭტონი | კგ. | 285 |
| | 26. | სიმინდის ფქვილი | კგ. | 40 |
| | 27. | ტეტრავიტი | ვედრო | 1 |
| | 28. | მრგვალი ჭია (მატლი) | კგ. | 9.5 |
| | 29. | თევზის მშრ. საკვები | ცალი | 9.5 |
| | 30. | მზესუმზირა | კგ. | 95 |
| 4 | 1. | ბრინჯი | კგ. | 285 |
| | 2. | წიწიბურა | კგ. | 285 |
| | 3. | მანი | კგ. | 285 |
| | 4. | ხორბ. ბურღული | კგ. | 285 |
| | 5. | ქერის ბურღული | კგ. | 285 |
| | 6. | ფეტვი | კგ. | 285 |
| | 7. | ორცხობილა | კგ. | 47 |
| | 8. | კვერცხი | ცალი | 285 |
| | 9. | ხაჭო | კგ. | 47 |
| | 10. | ფაფა ახალშობილი ნაშიერისთვის | ცალი | 20 |
| | 11. | რძის ფხვნილი | კგ. | 10 |
| | 12. | შესქელებული რძე | ცალი | 16 |
| | 13. | კარაქი | კგ. | 9.5 |
| | 14. | ზეთი | ლიტრი | 9.5 |
| | 15. | ქიშმიში | კგ. | 47 |
| | 16. | საფუარი | კგ. | 24 |
| | 17. | მარილი | კგ. | 570 |
| | 18. | ბარდა | კგ. | 285 |
| 5 | 1. | ლაბორ. თაგვი | ცალი | 38 |
| | 2. | ბოცვერი | ცალი | 47 |
| | 3. | ზაზუნა | ცალი | 38 |
| | 4. | ზღვის გოჭი | ცალი | 38 |

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 8 მარტის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N64 შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი"

5. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ვაკე-საბურთალო: ა/ანN 200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107 სახაზინო კოდი 300044040 (ვაკე-საბურთალო) დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

7. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ სატენდერო კომისიას 2006 წლის 10 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. N64, შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი".

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი;

8.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (საგადასახადო ინსპექციიდან) და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე (სასამართლოდან).

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

8.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკურ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) წინა წლებში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ ინფორმაცია.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის თანახმად.

10. პრეტენდენტს უფლება აქვთ წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N64, შ.პ.ს. "ზოოლოგიური პარკი",

ტელ. 33-58-60, ვალერი სვინტრაძე - დირექტორi საფინანსო-სამეურნეო დარგში.

**სატენდერო კომისია**

bp btc SCP South Caucasus Pipeline

# წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნა (RFP)

## ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმასთან დაკავშირებით საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებისთვის (SCP)**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით**

გამოქვეყნების თარიღი: **2006 წლის 13 თებერვალი**
წინადადებების მიღების დასრულების ვადა: **2006 წლის 10 აპრილი, დღის 12:00 თბილისის დროით.**

BP, რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით, თხოვნით მიმართავს სათანადოდ კვალიფიცირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მოამზადონ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის (KTMR) მართვის გეგმა.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში - ბორჯომის რაიონში - მდებარეობს. აღკვეთილი 22,000 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მაღალმთიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბები, რომლებიც ზღვის დონიდან 1,990 - 2,080 მეტრის სიმაღლეზეა. ამჟამად მოცემული აღკვეთილის მართვის გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული აღკვეთილის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და აქტიურად არ ხორციელდება მართვის ღონისძიებები.

BP, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით და მის ინტერესებში მოქმედებს, მზადაა დააფინანსოს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ეფექტური მართვის გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად შემდეგის განხორციელება სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს:

- საჭირო ფონური კვლევების ჩატარება;
- კონსერვაციაზე მიმართული მართვის მიზნების განსაზღვრა;
- მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც ყველა საჭირო ასპექტს მოიცავს;
- მოცემულ პროცესში მონაწილე დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება;
- საჯარო კონსულტაციები;

მოცემული დავალების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმა, რომელიც მისაღები იქნება ყველა მონაწილე მხარისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის და დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

BP-ის მოითხოვნის შესაბამისად ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ან ორგანიზაციათა კონსორციუმის სათავეში მდგომი ორგანიზაციის ფორმით მიიღებენ მონაწილეობას მოცემულ ტენდერში, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს მსგავსი პროექტების მართვის და/ან განხორციელების გამოცდილება, რომელთა დაფინანსება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 50,000 აშშ დოლარის ტოლი იყო.
- უნდა გააჩნდეს კონსერვაციისა და მართვის დაგეგმვის წარმატებული გამოცდილება თავად ორგანიზაციას ან წარმოდგენილ ჯგუფში შემავალ ინდივიდუალურ პირებს;
- თითოეულ წინადადებაში საქართველოს ეროვნული ექსპერტიზის მონაწილეობა, ორგანიზაციის ან ინდივიდუალური პირების სახით.

BP უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნულ ექსპერტებთან და მათ გამოცდილებას ეყრდნობიან.

სატენდერო დოკუმენტების მიღება შეგიძლიათ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე 13 თებერვლიდან 27 თებერვლამდე, BP-ის ოფისში, შემდეგ მისამართზე: საბურთალოს ქუჩა N38, თბილისი, საქართველო; ან ქვმოთ მოცემულ ინტერნეტ-გვერდებზე:

www.caspiandevelopmentandexport.com

აქცენტი

# ეტაპობრივი რეფორმის გზით

### დასაწყისი არის, გეგმები უფრო ბევრია

იქნა ლორთქიფანიძე ფოტო

სოფო კილასონია

თეატრალთა საზოგადოებაში თეატრალური უნივერსიტეტის შესახებ არც ისე აღფრთოვანებული საუბრები უჩვეულო მოვლენა ნამდვილად არ არის და მას უკვე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ნებისმიერი კრიტიკული და უკმაყოფილო დისკუსია თეატრის დღევანდელობასთან დაკავშირებით საბოლოოდ მაინც ამ უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მიმდინარე პროცესების ამოცნობის სურვილისკენ მიდის და ეს ძალიან ლოგიკურია. სულ მართივიდან დაწყებული, მაგალითად, რატომ ვერ მეტყველებენ ახალგაზრდა მსახიობები და ყველაზე რთულით დამთავრებული – მაინც რატომ არის ასეთი შეზღუდული თვალსაწიერისა და ინტელექტის მქონე თანამედროვე რეჟისურა და მისი ახალგაზრდა რეჟისორები – ყველაფერ ამაზე პასუხის ძიება მაინც ამ სფეროში არსებული განათლების სისტემითა და მისი დონით უნდა აიხსნას და, ავი იქნება თუ კარგი, უმრავლეს შემთხვევაში მის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

ზუსტად ერთი წლის წინ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი რექტორი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი დაუნიშნეს. ჩვენთან საუბარში იგი ამბობს, რომ მემკვიდრეობა არც ისე იოლი დახვდა და, ამაში ვინ შეიძლება არ დაეთანხმოს ჩემს რესპონდენტს. უსაზღვროდ გაზრდილი რაოდენობა მიღებული სტუდენტებისა და მეტ-ნაკლები პროფესიონალიზმით დაჯილდოებული ადამიანების გარკვეული ამბიცია ამაოდ დასრულებული თვითრეალიზებისთვის. პროფესიონალიზმი კი ფაქტორია, რომლის ნაკლებობაც, სფეროთა სპეციფიკის გამო, ისე არავის შეეტყო, როგორც ამ სასწავლებლის აღზრდილებს, შემსრულებლები იქნებიან ისინი თუ თეორეტიკოსები – ყველა, როგორც ერთი, საერთო და არც ისე მომხიბვლელი თვისებებით ხასიათდება. ამ თვისებების ჩამოთვლას რომ არ მოვყვეთ, ასოციაციებით გამოწვეული სიტყვა-ნიშნების ჩამოწერა მაინც შეიძლება: “შტამპი”, “შაბლონი”, “შეზღუდულობა”, “თავისუფალი აზროვნების ნაკლებობა”, “საეჭვო ინტელექტი”, “ნიჭი, მაგრამ ინტუიციური და ნაკლებად ინტელექტუალური”, მაგრამ მაინც ნიჭი, რომელსაც აშკარად მიხედვა სჭირდებოდა და დღესაც სჭირდება. მოკლედ, გასაკეთებელი ახალ რექტორს ძალიან ბევრი დახვდა და, როგორც ბატონი გოგი ამბობს, იგი რეფორმას ეტაპობრივად შეუდგა. ეს უკანასკნელი ფრაზა რამდენჯერმე გამეორდა საუბარში: “არა შტურმით და ერთი ხელის მოსმით, არამედ ეტაპობრივად, თანდათანობით”.

სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების რეფორმირება არა თუ ერთ-ერთი, არამედ ყველაზე მთავარი აქცენტია, რომელიც ჩვენი კულტურის პოლიტიკაში უნდა დაისვას და პრინციპში “უზენაესი” ამას ითვალისწინებენ. სამივე პროფესიულ უნივერსიტეტში განათლების ახალი კანონის მიხედვით რეფორმა მიმდინარეობს, თუმცა სამგანვე სხვადასხვაგვარად და ეს სხვაობა უპირველეს ყოვლისა, მათი სპეციფიკიდან და მუშაობის ტაქტიკიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, გადასაჭრელი ამოცანები დაახლოებით ერთნაირია, თავდაპირველი სქემაც იდენტური - რაც შეიძლება მობილურად მოერგონ განათლების თანამედროვე სისტემას, თუმცა ეს მორგების ხერხი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული და სხვადასხვაგვარად გააზრებული აღმოჩნდა ამ უნივერსიტეტებში. კულტურის მინისტრის მოადგილე ქალბატონი თათა ქვარიანი ერთ-ერთ გასულ “აქცენტში” ნებისმიერი რეფორმის რადიკალურობის აუცილებლობაზე საუბრობდა. მიუხედავად ამისა, თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი ამ რეფორმათა ეტაპობრიობაზე მიუთითებს და ამგვარ მეთოდში სრულიად დარწმუნებულია. დღეს თეატრალურ უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ძალიან ძნელია გამოვყოთ უკვე გაკეთებული და ის, რაც პროცესშია, რადგან, როგორც ჩანს, მის მმართველობაში მოსული ადამიანები ფაქტობრივად გასატარებელი რეფორმის არსისა და მისი აქცენტების გაანალიზების პროცესში არიან.

**გოგი მარგველაშვილი**: “რეფორმა მიმდინარეობს იმ კუთხით, რასაც ითხოვს განათლების შესახებ კანონი. იქ ნათლად არის მითითებული, თუ რა არის შესაცვლელი უმაღლესი განათლების არსებულ სისტემაში. პირველი და მთავარი ეს არის სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემაზე გადასვლა. ყველაფერი ის, რაც საჭიროა ამ სამი საფეხურის დასამკვიდრებლად, არის უნივერსიტეტის ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება, იმ ვარიანტისა, რომელსაც განსაზღვრავს კანონი, საბჭოებისა და ფაკულტეტების საბჭოების არჩევა, უმაღლესი ორი საბჭოს არჩევა, რექტორის არჩევა, დეკანების არჩევა, კანცლერის არჩევა და მთლიანად საარჩევნო მარათონის დაწყება და გავლა. სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბება - ეს არის მთავარი, რაც დღეს არის გასაკეთებელი. ასევე საგნების დატვირტვის ოპტიმიზაცია, რაც ჩვენთან, უნივერსიტეტში, რამდენიმე ეტაპად ხდება. ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით, ერთი დარტყმით ყველაფრის გამოსწორება არ გამოდის. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ რეფორმებისთვის გამოყოფილი ორი წელიწად დაგვენაწილებინა.”

დანაწილების მიხედვით ამ პირველ ეტაპზე სტრუქტურული სისტემების მოწყობა მიმდინარეობს. რექტორი და მისი მოადგილე ბატონი ლევან ხეთაგური აღნიშნავენ, რომ ისინი შეეცდებიან გააუმჯობესონ ის ყველაფერი, რაც უწინ იყო. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იქნება ეს, საბიბლიოთეკო ფონდი, საუნივერსიტეტო გამოცემები და თუ ზოგადად სასწავლო პროცესის ფორმა, რომელიც არათუ შესაცვლელია, ძალზე მოსაწესრიგებელიც გახლავთ.

ამ რეფორმისთვის ყველაზე დამახასიათებელი ცნება ოპტიმიზაციისა თეატრალურ უნივერსიტეტში ფაკულტეტების შემცირების გზით მოხდა. ოთხის ნაცვლად უკვე სამია: დრამის ხელოვნების, ტელე და კინოხელოვნებისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტების სახით. პირველი ორისგან განსხვავებით, მესამე ჩემთვის დაზუსტებას საჭიროებდა. ეს უკანასკნელი ფართო სპექტრისა გახლავთ. ხელოვნების ისტორია და თეორია და კულტურის მენეჯმენტის მთელი რიგი სპეციალობები, რომელშიც სამუზეუმო მენეჯმენტიც შედის (ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო არტ-მენეჯმენტისა), სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სპეციალობათა და ფუნქციათა პარალელურია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩემს მოსაზრებას ლევან ხეთაგური არ დაეთანხმა, რადგან, მისი აზრით, კულტურის, სამუზეუმო მენეჯმენტის სპეციალობები სხვაგან არ ისწავლება და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სწავლება თეატრალურ უნივერსიტეტში პედაგოგიკის განხრით მიმდინარეობს, ბოლომდე ოპონენტის აზრს ვერ დავეთანხმებით. პირველი იმიტომ რომ კულტურის მართვა-მენეჯმენტი, მით უფრო, სამუზეუმო, არც სხვა სახელოვნებო სასწავლებლებისთვის არის უცხო ხილი, თუმცა, შესაძლოა, ახალი იყოს და თუ მაინც არ არის ეს დისციპლინა იქ მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მაშინ ეს არა იმდენად თეატრალური უნივერსიტეტის დამსახურებაა, რამდენადაც იმ სასწავლებლებისა, რომლებშიც ხელოვნებათმცოდნეობა მთავარი სფეროა და, შესაბამისად, მუზეუმისა და არტ-მენეჯმენტის მიმართულებები მათთვის უნდა იყოს უმთავრესი. მეორე: იმიტომ ვერ დავეთანხმებით, რომ ძირითადი აქცენტებისგან ძალიან შორს წასულმა განაცხადებმა ძირითადის ხარისხზე არა გვგონია დადებითად იმოქმედოს. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მათი განაცხადი ამ თვალსაზრისით სულაც არ არის შორს წასული და რომ სასწავლებლის სახელწოდება მისი არსის გამომხატველი არ არის, ისე როგორც თუნდაც სამხატვრო აკადემიის შემთხვევაში, სადაც კომპიუტერული გრაფიკა ისწავლება და ეს აკადემიის სახელწოდებას ვერ პასუხობს. თუმცა კიდევ ერთი შენიშვნა: სამხატვრო აკადემიაში ყველაფერი სახვითი მოიაზრება და კომპიუტერული გრაფიკაც მათ შორის, ისე როგორც თსუ-ს ხელოვნებათმცოდნეობაში ხელოვნებასთან კავშირში არსებული ყველაფერი თეორიული. თეატრის, კინოსა და ტელეს სფეროები კი არც ისე მწირია თავისი შინაარსით და სხვადასხვა სეგმენტებით და ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაზრდილი სპექტრი მთლად ლოგიკურად ვერ გვეჩვენება, მაგრამ ამ პოლემიკას თავი დავანებოთ. ჩემი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და, როგორც ჩანს, რეფორმების პროცესი აქ სხვადასხვა მიზეზით დროში საკმაოდ იწელება.

სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც აქამდეც არსებობდა და ახლა ლევან ხეთაგურის ხელმძღვანელობით რეორგანიზაციას განიცდის. ასევე საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება, რომელიც სადაცაა ჩამოყალიბდება და პირველ ნაბიჯებს გადადგამს იმისთვის, რომ უნივერსიტეტი დასავლურ სასწავლო პროცესებს დაუმეგობრდეს და კოლეგა სასწავლებლებთან ურთიერთობა დაიწყოს. უკვე დაიწყო ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა მასტერკლასები წარმატებულ და სტუდენტებისთვის საინტერესო ხელოვანებთან. წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ინტეგრაცია “კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტთან”. აქ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია პროცესი. კონკრეტულად: როგორ გადანაწილდება ამ უკანასკნელი უნივერსიტეტის ფართო სპეციალობები სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ უნივერსიტეტს შორის და როგორ ტრანსფორმაციას განიცდის მისი დისციპლინები.

მოკლედ, სურათი ასეთია — დასაწყისი რეფორმისა არის, მაგრამ წინ კიდევ ძალიან ბევრი გეგმებია. სავარაუდოდ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ყველაფერზე ჩამოყალიბდებიან და რეფორმის გასატარებლად გამოყოფილი ორი წელი წარმატებით დასრულდება. ამ წარმატების მაუწყებელნი კი მათ მიერ აღზრდილი ახალი თაობების მაღალპროფესიონალიზმი და თანამედროვეობასთან იდენტიფიცირებული, განათლებული და ფართოდ გახელილი თვალების მქონე კადრები იქნებიან.

## სწავლა ლონდონში
### London school of Commerce (LSC)

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

**MBA**

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

სრული კურსის ფასი **£4950**
ხანგრძლივობა 1 წელი

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამეტებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული, ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
**ტელ: + 995 32 42 00 50**
**ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69**
**Email: info@stmlondon.co.uk**
**Email: nona-STM@mail.ru**

## გლობალ ერთი აცხადებს ვაკანსიას პროგრამისტის თანამდებობაზე

მოთხოვნები:
ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
**ორაკლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება**
პროგრამირების ენა : დელფი,
წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები;
ავტობიოგრაფია (CV)
განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ანაზღაურება მაღალი - კვალიფიკაციის შესაბამისად;
საბუთების წარდგენის ბოლო ვადა - 2006 წლის 24 თებერვლის 15.00 საათი;
რუსთაველის გამზ. N31, 0 სართული; ტელ 43 91 28;
e-mail: rusiko@global-erty.net

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge

შესწორება
ა.წ. 11 თებერვალს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაზეთ "24 საათში" დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ღია ტენდერში შეტანილია ცვლილებები. კერძოდ, აღარ განხორციელდება ლოტი N15, 16, 17, 18, 19-ის შესყიდვა.




## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში”

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**